



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

კრიმინოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

მორის შალიკაშვილი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
„მარიხუანას“ გადაწყვეტილებების
კრიმინოლოგიური ანალიზი

თბილისი 2019

სარჩევი

1. შესავალი	4
2. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინების ვალდებულება	6
3. ნარკოპოლიტიკის პრევენციის ტესტი	12
3.1. მიწოდების შემცირება.....	13
3.1.1. ნარკოტიკების გამსაღებლების შეზღუდვა (საჰაერო, საზღვაო, სახმელეთო) და საზღვრის გადაკვეთის ადგილებში სამართალდამცავი აქტივობების გაზრდა.....	14
3.1.2. კრიმინალური ორგანიზებული დაჯგუფებების აღმოჩენა და დაშლა	21
3.2. მოთხოვნის შემცირება	24
3.3. ზიანის შემცირება	27
3.3.1. ჯანმრთელობის დაზიანება.....	27
ა. ექსპერტთა მოსაზრებების განხილვა	27
ბ. 31-ე პუნქტის დეტალური განხილვა (განმტკიცებული ჯანმრთელობის საკითხი).....	32
გ. 31-ე პუნქტის დეტალური განხილვა (საერთაშორისო კვლევების საკითხი)	36
დ. 31-ე პუნქტის დეტალური განხილვა (ალკოჰოლის და მარიხუანას შედარების საკითხი)	37
3.3.2. საზოგადოებრივი უსაფრთხოება	40

ა. მარიხუანას მოხმარება და დანაშაულის ჩადენა	40
ბ. მარიხუანას გასაღების შესაძლებლობა.....	43
გ. მარიხუანა როგორც „კარიბჭის ნარკოტიკი“	45
დ. მარიხუანას მოხმარება და ავტოსაგზაო შემთხვევები.....	51
3.3.3. შრომისუნარიანობის დაქვეითება როგორც თავისუფალი განვითარების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი.....	55
3.3.4. მოხმარება როგორც უკანონო ბრუნვის საფუძველი.....	58
4. ზიანის შემცირების პრევენციული ღონისძიებები	62
5. ახალი ნარკოპოლიტიკის შედეგები	67
5.1. მართლმსაჯულების განხორციელების პრობლემა	67
5.2. კრიმინოგენული მდგომარეობის გაუარესება.....	69
6. დასკვნა.....	71
გამოყენებული ლიტერატურა	76

1. შესავალი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილებით, საქმეში ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, შეცვალა ქვეყანაში მარიხუანის მიმართ არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკა. აღნიშნული გადაწყვეტილებით 69 გრამი გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარებისთვის შეძენისა და შენახვისთვის სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა არაკონსტიტუციურად იქნა გამოცხადებული, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-17 მუხლის მეორე პუნქტს (დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 15 თებერვლის №855 განჩინებით ასევე ძალადაკარგულად სცნო სსკ 260-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც 100 გრამამდე ნედლი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვისათვის თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილებით, საქმეში გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ აღნიშნა, რომ „გართობისა და რეკრეაციული მიზნით მარიხუანის მოხმარების სისხლის სამართლის წესით დასჯადობა არაკონსტიტუციურია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან მიმართებით და წარმოადგენს ადამიანის პირადი ავტონომიით დაცულ სფეროში არაპროპორციულ ჩარევას და, შესაბამისად, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლს“.

საინტერესოა რა მივიღეთ აღნიშნული გადაწყვეტილებების შედეგად? პირველი, მივიღეთ, რომ 69 გრ. მარიხუანას პირადი მოხმარებისთვის შეძენა შენახვისათვის აღარ გვაქვს თავისუფლების აღკვეთა, და მეორე,

მარიხუანას მოხმარებისთვის გაუქმდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებებით დასაბამი დაუდო ახალ ნარკოპოლიტიკას, რომელიც უკიდურესად ლიბერალურ ნარკოპოლიტიკად უნდა იქნეს მიჩნეული.

მოცემული სამეცნიერო ნაშრომის ფარგლებში მოხდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული ორი გადაწყვეტილების ანალიზი კრიმინოლოგიურ ჭრილში, ვინაიდან ამ ორმა გადაწყვეტილებამ საფუძველი დაუდო მარიხუანასთან ურთიერთობის ახალ მიდგომებს და ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებულ მომდევნო სხვა გადაწყვეტილებებში/განჩინებებში სწორედ ამ ორ გადაწყვეტილებებში მოყვანილ არგუმენტაციას იყენებს ძირითადად.¹

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კრიმინოლოგიური ანალიზი გულისხმობს საკითხის შესწავლას სოციალურ, პოლიტიკურ, გეოგრაფიულ და კულტურულ ასპექტში, რათა დადგინდეს მარიხუანასთან მიმართებაში განხორციელებული ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკა სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის საზიანო ხომ არ არის.

მოცემული ნაშრომი შემდეგ კითხვებს გასცეს პასუხი:

- რამდენად იყო სახელმწიფო და მისი მოსახლეობა მზად ასეთი განუზომლად ლიბერალური ნარკოპოლიტიკისათვის?

¹ იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება №1/9/701,722,725 საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება №1/3/1282 საქართველოს მოქალაქეები - ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება №1/6/770 საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და სხვა.

- რა გამოიწვია ან შეიძლება მომავალში გამოიწვიოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს „მარიხუანას“ გადაწყვეტილებებმა?
- იყო თუ არა ვალდებული საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილების მიღების დროს, გარდა ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმებისა, ასევე გათვალისწინებინა ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, გეოგრაფიული და კულტურული მდგომარეობა?

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კრიმინოლოგიური ანალიზის მიზანია, წინასწარ იმის დადგენა, ხომ არ გამოიწვევს ასეთი უფლების დამკვიდრება (მარიხუანას რეკრეაციული მიზნით მოხმარება), ისეთ შედეგს, რომ თავად ამ უფლების განხორციელების უზრუნველყოფ სახელმწიფოს შეუშლის ხელს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, რამაც შემდგომში თავად ამ უფლების განხორციელებას, მარიხუანას რეკრეაციული მიზნით მოხმარება, შეიძლება შეუშალოს ხელი.

2. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინების ვალდებულება

სამართალი მიეკუთვნება სოციალურ მეცნიერებას. სამართლის ნორმა, როგორც ქვეყნის განმსაზღვრელი წესი, „ემსახურება არა სამყაროს შემეცნებას, არამედ სოციალური წესრიგის დამყარებას“.² სამართლის ნორმები პირველ რიგში პრაქტიკული ხასიათის უნდა იყოს, რათა მან ადამიანებს შორის ურთიერთობა მოაწესრიგოს.³ იმისათვის რომ სამართლის ნორმა იყოს ეფექტური, გათვალისწინებული უნდა იქნეს

² ციპელიუსი, რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება. მეათე გამოცემა. თბილისი 2006. გვ. 1.

³ ზოიძე, ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში. თბილისი 2007. გვ. 39.

ქვეყნის სოციალურ-კულტურული წინაპირობები, და ამ ნორმით დადგენილი მართლწესრიგი უნდა იყოს სამართლიანი.⁴ სამართალი, როგორც კოგნიტური ინსტიტუტი, პირველ რიგში არის მთლიანი სისტემის ნაწილი, რომელიც მისაღები უნდა იყოს ლოკალურ დონეზე.⁵

ნიკლას ლუმანის აზრით, „თავის ფუნქციას სამართალი კარგად ასრულებს მაშინ, როდესაც იგი მომზადებულია ცხოვრებისეული ურთიერთობების უფრო მაღალი სირთულისა და მოულოდნელობებისათვის“.⁶

საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების დროს, ასევე, გაითვალისწინოს ქვეყნის სოციალური, კულტურული და თუნდაც გეოგრაფიული (მოცემულ შემთხვევაში) მდგომარეობა. ამავე დროს, სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს პრაქტიკული ხასიათის.

ამავე დროს საჭიროა, რომ გადაწყვეტილებამ უზრუნველყოს უფლებების ან საჯარო ინტერესის პრევენციული დაცვა, როგორც ნორმის შექერების მექანიზმის, ასევე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს.

„მყარი და სტაბილური სამართლებრივი წესრიგი უფლების არსებობის მნიშვნელოვანი პირობაა“.⁷ ის რომ პიროვნებას მივცეთ ლიბერალური ნარკოპოლიტიკით სარგებლობის შესაძლებლობა, ამან ისეთ დონეზე არ უნდა შეუშალოს ხელი საჯარო წესრიგის განხორციელებას, რომ სახელმწიფოს მხრიდან თავად პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების განხორციელების შესაძლებლობა და დაცვა დადგეს საფრთხის ქვეშ. ვინაიდან, „საკმარისია მოიშალოს სამართლებრივი უსაფრთხოება [მათ შორის საჯარო წესრიგი], რომ ნებისმიერი უფლება

⁴ ხუბუა, გ., სამართლის თეორია. თბილისი 2015. გვ. 161.

⁵ Burduli, I., Nekrorezeption in Transformationsgesellschaften. Am Beispiel des postsowjetischen georgischen Unternehmensrecht. In: Dogmatik im Dienst von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung: Festschrift für Hans Prütting. Köln 2018. S. 8,9.

⁶ ხუბუა, გ., სამართლის თეორია. თბილისი 2015. გვ. 189.

⁷ ზოიძე, ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში. თბილისი 2007. გვ. 40.

ექვის ქვეშ აღმოჩნდეს“.⁸ შესაბამისად, „სამართლის ზოგიერთი ნორმა ფასეულობათა მიმართ ინდიფერენტულია და მხოლოდ წესრიგის დაცვის ფუნქციას ასრულებს“.⁹

გარდა ამისა, „სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი¹⁰ მოითხოვს, რომ მოსამართლეებიც თავიანთ შეფასებებში ქვევის იმ წესებს იცავდნენ, რომლებიც სამართლებრივ საზოგადოებაში აღიარებულია უმრავლესობის მიერ... სამართლებრივი გადაწყვეტილებები დამოკიდებულია არა ცალკეული მოსამართლის ინდივიდუალურ ზეპერსონიზირებულ ხედვაზე, არამედ საზოგადოების უმრავლესობის წარმოდგენაზე **სამართლიანობის შესახებ**“.¹¹ ზემოაღნიშნულის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების დროს გაითვალისწინოს საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებები, მათ შორის, ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის შესახებ, მოსახლეობის მიერ სამართლის ნორმისა და ზოგადად მართლწესრიგის მიმართ ნდობის ჩამოყალიბების საკითხები.

საკონსტიტუციო სასამართლო 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ: „სასამართლომ საკმარისი სიცხადით უნდა წარმოადგინოს დასაბუთება, რომელსაც ეფუძნება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. სასამართლოს ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს სადავო აქტის მოქმედების ცალკეული ასპექტები და ნორმის მოქმედების ყველა სეგმენტი **კომპლექსურად უნდა იქნეს შეფასებული**. სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ცხადი უნდა იყოს, რომ საქმის ყველა არსებით საკითხს გაეცა პასუხი... განსაკუთრებით მაღალია დასაბუთებულობის სტანდარტი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან მიმართებით, რომელიც, ერთი მხრივ, საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას, ხოლო, მეორე

⁸ იქვე.

⁹ ციპელიუსი, რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება. მეათე გამოცემა. თბილისი 2006. გვ. 13.

¹⁰ ვრცლად იხ.: კობახიძე, ი., სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი. სამართლის ჟურნალი. თსუ. იურიდიული ფაკულტეტი. №1, 2013. გვ. 320.

¹¹ ციპელიუსი, რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება. მეათე გამოცემა. თბილისი 2006. გვ. 20.

მხრივ, როგორც წესი, მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი და ხშირ შემთხვევაში, ითვალისწინებს სამართლებრივი ურთიერთობის პრაქტიკულად ახლებური მოწესრიგების სტანდარტების შეთავაზებას ან სადავო აქტის კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისი ინტერპრეტირების კრიტერიუმების იდენტიფიცირებას“.¹²

საკონსტიტუციო სასამართლო, საქმეში ბეჯა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, სახელმწიფოს ვალდებულებებზე საუბრობს და ამბობს: „ამ [სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების] პროცესში სახელმწიფოს ევალება ადამიანისთვის, საზოგადოებისთვის, სახელმწიფოსთვის საფრთხის შემქმნელი რისკების სწორად შეფასება, პროგნოზირება, რეალური საფრთხეების ობიექტურად აწონვა და მათ ასაცილებლად ან გასაწინააღმდეგოდ გონივრული, უკიდურესად აუცილებელი, ამასთან, საკმარისი ღონისძიებების გამოყენება“.¹³ საკონსტიტუციო სასამართლო არ გულისხმობს აბსტრაქტულ სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუტს, არამედ გულისხმობს კონკრეტულ სახელმწიფოს - „საქართველოს“, მისი რესურსებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელსაც „სამოქალაქო ურთიერთობათა ძირითადი ასპექტების მოწესრიგებაზე აქვს ექსკლუზივი“,¹⁴ მათ შორის ნარკოპოლიტიკის განსაზღვრის საკითხში.

საკონსტიტუციო სასამართლო სრულიად მართებულად მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების დროს დაცული იყოს ადამიანის უფლებები და გათვალისწინებულ იქნეს

¹² ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 10, 11.

¹³ წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 32.

¹⁴ გეგენავა, დ., კონსტიტუციური შეთანხმება, როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში. თბილისი 2016. გვ. 17.

„ქვეყნის ისტორიული გამოცდილება, კულტურა, ღირებულებებისა და ზოგადად საზოგადოების სამართლებრივი სენტიმენტები“.¹⁵

„თვით იმ სამართლებრივ გადაწყვეტილებებშიც, რომლებიც დადგენილ ჩარჩოებს სცდებიან და სამართალს ავითარებენ, სასურველია, შეძლებისდაგვარად, კონსენსუსის მიღწევა: მხოლოდ კონსენსუსის გზით მიღწეულ შეთანხმებებს აქვთ შანსი, მნიშვნელოვანი პრეტენზიის გარეშე სამართლებრივი საზოგადოების მიერ იქნას აღიარებული“.¹⁶

მარიხუანას მიმართ ნარკოპოლიტიკის ცვლილება საკმაოდ რთული და გრძელვადიანი პროცესი უნდა იყოს, რომელიც შეუძლებელია განხორციელდეს ორი-სამი წლის განმავლობაში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქართველოში. იმისათვის, რომ სამართლის ნორმის გამოყენება გამარტივდეს, საჭიროა რეფორმა საზოგადოების ყველა ფენამდე იქნეს მიტანილი.¹⁷

„დღევანდელი სამეცნიერო ცოდნის გადასახედიდან, ნარკომანია ბიო-ფსიქო-სოციო-სულიერ-პოლიტიკური ფენომენია და მისი პრევენცია სისტემურ, მთლიანობით ხედვასა და მიდგომას საჭიროებს“.¹⁸ საინტერესოა, რამდენად იქნა გათვალისწინებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში ქვეყნისა და ნარკომომხმარებლის მდგომარეობა.

გარდა, ნორმის კონსტიტუციურობის ტესტისა, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებების გამოტანის დროს მიმართა, აუცილებელია სიღრმისეულად მომხდარიყო სისხლის სამართლის პოლიტიკის ცვლილებით გამოწვეული შედეგების ანალიზი, ერთგვარი ტესტი, რომელსაც ჩვენ - საჯარო ინტერესის პრევენციული დაცვის ტესტს ვუწოდებთ. ეს საჯარო ინტერესის

¹⁵ წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 33.

¹⁶ ციპელიუსი, რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება. მეათე გამოცემა. თბილისი 2006. გვ. 22.

¹⁷ Burduli, I., Nekrezeption in Transformationsgesellschaften. Am Beispiel des postsowjetischen georgischen Unternehmensrecht. In: Dogmatik im Dienst von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung: Festschrift für Hans Prütting. Köln 2018. S. 10.

¹⁸ ჯავახიშვილი, ჯ., ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრევენცია. ცხოვრების ჯანსაღი სტილის დამკვიდრების მიდგომა. თბილისი 2011. გვ. 14

პრევენციული დაცვის ტესტი კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციისაკენ განხორციელებული ცვლილებების დროს სამი მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებას:

1. ნარკოტიკული საშუალებების მიწოდების შემცირების, 2. ნარკოტიკული საშუალებების მოთხოვნისა და 3. ნარკოტიკული საშუალებების ზიანის შემცირებას.¹⁹ იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც ფიქრობს ნარკოტიკული საშუალებების ლიბერალიზაციას, პირველ რიგში საჭიროა ამ ტესტის მეშვეობით დადგინდეს, შეძლებს თუ არა, რომ დაიცვას, როგორც აქტიური მომხმარებლები, ასევე პოტენციური მომხმარებლები და ნარკოტიკული საშუალებების გასაღების შემთხვევაში - საჯარო ინტერესი.

მოცემულ ნაშრომში მოხდება საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადად ორი გადაწყვეტილების (ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) ნარკოტიკული საშუალებების ტესტის ფარგლებში განხილვა. როგორც აღინიშნა, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ლიბერალიზაციამ აუცილებელია გაიაროს მიწოდების, მოთხოვნისა და ზიანის შემცირების ტესტი. ეს არის ნარკოდაწინააღმდეგობის ბრძოლის და პრევენციის ერთგვარი „პროპორციულობის ტესტი“, რომლის „ჩაბარების“ შემთხვევაში შეიძლება ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ლიბერალიზაციის განხორციელება.

მოცემულ ნაშრომში საქართველოს მაგალითზე განვიხილავთ მიწოდების, მოთხოვნისა და ზიანის შემცირების კრიმინოლოგიურ ასპექტებს, რათა დავადგინოთ რამდენად იყო შესაძლებელი ნარკოტიკული საშუალებების ლიბერალიზაცია.

შუალედური შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ „ნებისმიერი პირის უფლება უფლებათა საერთო წესრიგის ნაწილია და თუ ეს პრიორიტეტი ძირს უთხრის აღნიშნულ წესრიგს, მაშინ იგი მიუღებელია. ნებისმიერი უფლების დაცვა სამართლებრივი წესრიგის სივრცეში უნდა

¹⁹ ინაბა, დ.ს./კოენი, უ.ე., ფსიქოაქტიური საშუალებების ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტები. მერვე გამოცემა. თბილისი 2017. გვ. 246.

ჯდებოდეს“.²⁰ ნებისმიერი რეფორმა ქვეყნის კულტურულ ღირებულებებსა და სამართლებრივ წესრიგს უნდა შეესაბამებოდეს. საინტერესოა, მარიხუანას პირადი მოხმარების საკითხის თავისუფალი განვითარების უფლების ფარგლებში განხილვა, ხელს ხომ არ შეუშლის საჯარო წესრიგის იმგვარ დარღვევას, რაც პრობლემას შეუქმნის მოქალაქეებს საზოგადოებრივ ურთიერთობებში და მათი უფლებების დაცვასაც ვერ მოახდენს, ვინც მარიხუანას მოხმარებას თავისუფალი განვითარების უფლების ფარგლებში ანხორციელებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა ტერმინი „ადამიანის თავისუფალი განვითარება“ და უნდა გამოეყენებინა ტერმინი „პიროვნების თავისუფალი მოქმედების უფლება“ და ემსჯელა სახელმწიფოს მიერ მისი შეზღუდვის შესაძლებლობის თაობაზე.²¹

3. ნარკოპოლიტიკის პრევენციის ტესტი

მოცემული თავის ფარგლებში მოხდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში განვითარებული მსჯელობის ანალიზი ზემოაღნიშნულ სამ საკითხთან დაკავშირებით (მიწოდების, მოთხოვნისა და ზიანის შემცირება). საინტერესოა, მსჯელობს თუ არა სასამართლო მიწოდების, მოთხოვნისა და ზიანის შემცირების საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებებში და როგორია მისი არგუმენტაცია.

²⁰ ზოიძე, ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში. თბილისი 2007. გვ. 45.

²¹ მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., ნარკოტიკების მოხმარების დასჯადობის საკითხისთვის. საქართველოს ნარკოსტრატეგიის შედარებითი ანალიზი და ნარკოდანაშაულის სფეროში საკანონმდებლო სრულყოფის საკითხები. სტატიათა კრებული. (რედ.) თოდუა, ნ./ჯანაშია, ჯ., თბილისი 2019. გვ. 57.

3.1. მიწოდების შემცირება

მიწოდების შემცირება გულისხმობს ისეთი სახის ქმედებების განხორციელებას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მხრიდან, რომელიც შეამცირებს ნარკოტიკული საშუალებების ქვეყნის მოსახლეობაში მიმოქცევას.

„მოთხოვნის შემცირებაზე მიმართული ღონისძიებების ჯეროვნად არ შეფასება და ნარკომანიის პრობლემის, ძირითადად, ძალოვანი ღონისძიებებით გამკლავების მცდელობა (რასაც წლების მანძილზე ადგილი აქვს ჩვენს ქვეყანაში და, რაც საბჭოთა მემკვიდრეობის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს), ფაქტობრივად, ხელიდან გვაცლის პრობლემასთან გამკლავების ეფექტურ იარაღს“.²²

მიწოდების შემცირების აქტივობებია:²³ „ნარკოტიკების გამსაღებლების შეზღუდვა (საჰაერო, საზღვაო, სახმელეთო); საზღვრის გადაკვეთის ადგილებში სამართალდამცავი აქტივობების გაზრდა; პრეკურსორი ქიმიკატების (რომელიც აკრძალული ნარკოტიკული საშუალებების წარმოებაში გამოიყენება) მიწოდების შეზღუდვა და აკრძალვა; კრიმინალური დაჯგუფებებისა და ორგანიზებული დანაშაულის აღმოჩენა და დაშლა; უფრო მკაცრი კანონების მიღება და მხარდაჭერა, სამართლიანი სასჯელის პოლიტიკის შენარჩუნებასთან ერთად სათემო პოლიციელების დამატებით დაფინანსება; ფულის გათეთრების საქმიანობის შეჩერება და ნარკომოვაჭრეების აქტივების ჩამორთმევა არალეგალური ნარკოსაქმიანობიდან მიღებული სარგებლის შესაზღუდად; ადგილობრივი და სახელმწიფო პოლიციის მხარდაჭერა ინტენსიური ნარკოგადაზიდვის ადგილებში, ასევე დაზვერვის ინფორმაციისა და აქტივობის კოორდინაცია; ადგილობრივი და უცხოური მიწოდების წყაროების მოშლა ანტინარკოტიკული და აღმოფხვრისკენ მიმართული აქტივობების მხარდაჭერით ისეთი

²² ჯავახიშვილი, ჯ., ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრევენცია. ცხოვრების ჯანსაღი სტილის დამკვიდრების მიდგომა. თბილისი 2011. გვ. 108.

²³ ინაბა, დ.ს./კოენი, უ.ე., ცადამყვანები, გამაბრუებლები და სხვები. ფსიქოაქტიური საშუალებების ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტები. მერვე გამოცემა. თბილისი 2017. გვ. 247.

ქვეყნებისთვის, როგორცაა: ავღანეთი, კოლუმბია, პაკისტანი და მექსიკა; მიწოდების შემცირების მიზნების ერთობლივად მისაღწევად ხელშეკრულებები და სხვა საერთაშორისო შეთანხმებები“.²⁴

მიწოდების შემცირების ღონისძიებები მრავალფეროვანია. მოცემულ ნაშრომში შევეხებით მიწოდების შემცირების მხოლოდ იმ ღონისძიებებს, რომელიც მოცემულ მომენტში რელევანტურია ჩვენი ქვეყნისთვის.

3.1.1. ნარკოტიკების გამსაღებლების შეზღუდვა (საჭაერო, საზღვაო, სახმელეთო) და საზღვრის გადაკვეთის ადგილებში სამართალდამცავი აქტივობების გაზრდა

საკონსტიტუციო სასამართლომ ნარკოტიკული საშუალების მარიხუანას გავრცელებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „როდესაც ნარკოტიკული საშუალების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ობიექტურად აჩენს რეალურ საფრთხეს მისი არა მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის, არამედ რეალიზაციის მიზნებისთვის შეძენა/შენახვის თაობაზე, მაშინ სახელმწიფო უფლებამოსილია, დააწესოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ამასთან, პასუხისმგებლობის ზომა/ხარისხი შესაძლოა დაკავშირებული იყოს ნარკოტიკული საშუალების რაოდენობასთან... მოცემულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანა არ არის იმის გარკვევა, მარიხუანის რა ოდენობა უნდა იქნეს მიჩნეული რეალიზაციის მიზნებისთვის განკუთვნილ ოდენობად ან მარიხუანის რა ოდენობამდე ფლობა გამოირიცხავს რეალიზაციის მიზანს. სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში სასამართლომ დაადგინა, რომ 69 გრ. მარიხუანა (რომელიც მოსარჩელეს აღმოაჩნდა), *a priori*, არ შეიძლება ჩაითვალოს იმ ოდენობად, რომელიც არ არის განკუთვნილი პირადი მოხმარებისთვის და რომელიც ავტომატურად ქმნის მისი გავრცელების და, შესაბამისად, სხვათა ჯანმრთელობის დაზიანების გარდაუვალ საფრთხეს“.²⁵ აშკარაა,

²⁴ იგივე, გვ. 247, 248.

²⁵ წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 89, 95.

რომ საკონსტიტუციო სასამართლო თავს არიდებს სისხლის სამართლის და ნარკოპოლიტიკის განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხზე სიღრმისეულ მსჯელობას. კერძოდ, „*მარიხუანის რა ოდენობა უნდა იქნეს მიჩნეული რეალიზაციის მიზნებისთვის განკუთვნილ ოდენობად*“ და შეიცავს თუ არა 69 გრამი მარიხუანას პირადი მოხმარებისთვის ფლობა, გასაღების რისკს.

საკონსტიტუციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაზე სიღრმისეულად იმსჯელებდა თუ საკითხს (შეიცავს თუ არა 69 გრამი მარიხუანას პირადი მოხმარებისთვის ფლობა, გასაღების რისკს) განიხილავდა ორი პერსპექტივიდან: 1. მარიხუანაში კანაფის აქტიური კომპონენტის THC (ტეტრაჰიდროკანაბინოლის) შემცველობა და 2. ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

პირველის შემთხვევაში მარიხუანაში კანაფის აქტიური კომპონენტის THC (ტეტრაჰიდროკანაბინოლის) შემცველობის დადგენა პირდაპირ კავშირშია მის ეფექტიანობასთან, მის ზემოქმედებასთან ადამიანის ფსიქიკაზე. მარიხუანაში THC (ტეტრაჰიდროკანაბინოლის) შემცველობა მერყეობს საშუალოდ 1-დან 7 პროცენტამდე.²⁶ მარიხუანა აშშ-დან შეიცავს 1-დან 8%-მდე, კოლუმბიიდან დაახლოებით - 3,7%-მდე, ნიგერიიდან - 2-დან 4%-მდე, ხოლო ტაილანდიდან - 6,7-დან 8%-მდე ტეტრაჰიდროკანაბინოლს.²⁷ 1975 წელს ტეტრაჰიდროკანაბინოლის შემცველობა მარიხუანაში 1,5%-ს შეადგენდა,²⁸ 2006 წლიდან მარიხუანაში ტეტრაჰიდროკანაბინოლის შემცველობა საგრძნობლად გაიზარდა.²⁹ ბოლო პერიოდში გერმანიის შავ ბაზარზე შემოსულ მარიხუანაში ტეტრაჰიდროკანაბინოლის შემცველობა 22%-მდეა

²⁶ Sauber, O./Weilemann, S., Drogen. Eigenschaften – Wirkungen – Intoxikationen. Hannover 2000. S. 77.

²⁷ იქვე.

²⁸ ჯანაშია, ჯ., საქართველოში ნარკომანიის გავრცელების და ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის შედარებითი ანალიზი. საქართველოს ნარკოსტრატეგიის შედარებითი ანალიზი და ნარკოდანაშაულის სფეროში საკანონმდებლო სრულყოფის საკითხები. სტატიათა კრებული. (რედ.) თოდუა, ნ./ჯანაშია, ჯ., თბილისი 2019. გვ. 22.

²⁹ Europäische Beobachtungsstelle für Drogen und Drogensucht (2018), Europäischer Drogenbericht 2018: Trends und Entwicklungen, Amt für Veröffentlichungen der Europäischen Union, Luxemburg. S. 23.

გაზრდილი.³⁰ ზოგიერთი სამეცნიერო წყარო მიუთითებს, რომ ტეტრაჰიდროკანაბინოლის შემცველობა მარიხუანაში 30-35%-მდე გაიზარდა.³¹ მარიხუანაში ტეტრაჰიდროკანაბინოლის შემცველობის გაზრდა მათ შორის ხდება მარიხუანას ახალი ჯიშების გამოყვანით, სხვადასხვა ჯიშების შეჯვარებით.³²

ჩვეულებრივად მარიხუანას შეკეთებული „ტარიანი“, რომელიც სიგარეტის თუთუნშია გარეული ტეტრაჰიდროკანაბინოლის საშუალოდ 20-დან 50%-მდე რაოდენობას შეიცავს.³³

სამწუხაროდ, არ არსებობს კვლევები იმის თაობაზე, თუ რა დოზით შეიცავს ტეტრაჰიდროკანაბინოლს საქართველოს ბაზარზე მიმოქცევაში არსებული მარიხუანა.

სავარაუდოდ, ტეტრაჰიდროკანაბინოლის ნორმალური დოზის შემცველობის 69 გრამი გამომშრალი მარიხუანა საკმარისი უნდა იყოს სამჯერ მეტი მოსაწევი საშუალების „ტარიანის“ დასამზადებლად, რითიც, მთლიანობაში, ვიღებთ 180-200 მოსაწევად გამზადებულ მარიხუანას სიგარეტს, რომელიც 350-400 ადამიანის ერთჯერადი მოხმარებისთვის არის განკუთვნილი.

³⁰ Hoch, E./Friemel, Ch. M./Schneider, M. (Hrsg.), Cannabis: Potenzial und Risiko. Eine wissenschaftliche Bestandsaufnahme. Berlin 2019. S. 29.

³¹ ჯანაშია, ჯ., საქართველოში ნარკომანიის გავრცელების და ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის შედარებითი ანალიზი. საქართველოს ნარკოსტრატეგიის შედარებითი ანალიზი და ნარკოდანაშაულის სფეროში საკანონმდებლო სრულყოფის საკითხები. სტატიათა კრებული. (რედ.) თოდუა, ნ./ჯანაშია, ჯ., თბილისი 2019. გვ. 22.

³² Europäische Beobachtungsstelle für Drogen und Drogensucht (2018), Europäischer Drogenbericht 2018: Trends und Entwicklungen, Amt für Veröffentlichungen der Europäischen Union, Luxemburg. S. 23.

³³ Sauber, O./Weilemann, S., Drogen. Eigenschaften – Wirkungen – Intoxikationen. Hannover 2000. S. 78.

კვლევები ადასტურებს, რომ მომხმარებლები ხშირად თავადაც ასაღებენ მარიხუანას.³⁴ 69 გრამი ტეტრაჰიდროკანაბინოლის ნორმალური პროცენტობის შემცველი მარიხუანა აშკარად შეიცავს გასაღების ალბათობას. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში შექმნილ სიღარიბესა და ეკონომიკურ გაჭირვებას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, 2017 წლის მონაცემებით სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი შეადგენს 21,9 პროცენტს.³⁵ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით კი, სოციალურად დაუცველობის შემწეობას იღებს მთელი ქვეყნის მოსახლეობის 12,2%, 455 813 ადამიანი.³⁶

2009 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ბავშვების 28% სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს მიღმა იმყოფება.³⁷

ამ მონაცემების თანახმად, ქვეყნის მოსახლეობის ერთი, საკმაოდ დიდი ნაწილი, არის უკიდურესად გაჭირვებულ ეკონომიურ მდგომარეობაში. ქვეყნის მოსახლეობის ცუდი ეკონომიური მდგომარეობის გავლენამ შეიძლება მარიხუანას გასაღება გამოიწვიოს, მათ შორის თავის რჩენის მიზნით და მინიმალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ რომ მარიხუანას საბაზრო ღირებულება დაახლოებით 60-150 ლარამდე მერყეობს ერთ ასანთის კოლოფზე (დაახლ. 1,0 გრამი) და დამოკიდებულია მარიხუანის წარმომავლობასა და სიძლიერეზე.

ასევე, საყურადღებოა 2015 წელს გერმანიაში ჩატარებული კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ მარიხუანის მომხმარებელი მოზარდების დიდი

³⁴ Meier, J., Bögelein, N., Illegale Drogenmärkte in Justizvollzugsanstalten – Erkenntnisse von Experten in Bezug auf Cannabis. In: Neubacher, F./Bögelein, N. (Hrsg.): Krise – Kriminalität – Kriminologie. Mönchengladbach 2016. S. 246; შალიკაშვილი, მ., კრიმინოლოგია. მესამე გამოცემა. თბილისი 2017. გვ. 179.

³⁵ <http://www.geostat.ge> [7.2.2019].

³⁶ <http://www.ssa.gov.ge> [7.2.2019].

³⁷ <http://www.unicef.ge> [7.2.2019].

რაოდენობა იყო უმუშევარი.³⁸ შესაბამისად, სოციალურად დაუცველობა პირდაპირ კავშირშია უმუშევრობასთან. ეს კი თავისთავად ქმნის რისკს, რომ მოხდეს როგორც მარიხუანას მოხმარება, ასევე მისი გასაღება.

გარდა ამისა, „ნარკოტიკის გასაღება სისხლის სამართალში ფართოდ განიმარტება და არ გულისხმობს მაინცდამაინც მარტო მის რეალიზაციას მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით“³⁹. გასაღება ასევე მოიაზრებს სხვისთვის მის გადაცემას ეკონომიკური სარგებლის მიღების გარეშე.

ვფიქრობთ, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით 69 გრამი მარიხუანის პირადი მოხმარებისთვის ფლობა ზრდის მისი გასაღების რისკს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის (თავისუფლების აღკვეთის) საკითხი უნდა გადაეწყვიტა ტეტრაჰიდროკანაბინოლის მეშვეობით. დასაშვები რაოდენობა, რომლისთვისაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (მათ შორის თავისუფლების აღკვეთა) გათვალისწინებული არ იქნებოდა, უნდა ყოფილიყო ბევრად მცირე რაოდენობა (მაგ. 3-4 მოწევა), რაც შეამცირებდა მისი გასაღების ალბათობას.

ნარკოტიკების გამსაღებლების შეზღუდვასა (საჰაერო, საზღვაო, სახმელეთო) და საზღვრის გადაკვეთის ადგილებში სამართალდამცავი აქტივობების გაზრდაზე საუბრისას, ასევე, ყურადღება უნდა გამახვილდეს ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალების შესაძლო შემოტანის რისკის საკითხზე.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველო არის ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდი და მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ხშირია ნარკოტიკული

³⁸ Orth, B., Die Drogenaffinität Jugendlicher in der Bundesrepublik Deutschland 2015. Rauchen, Alkoholkonsum und Konsum illegaler Drogen: aktuelle Verbreitung und Trends. BZgA-Forschungsbericht. Köln 2016. S.57.

³⁹ იხ.: მ. ტურავას განსხვავებული აზრი საქმეზე წიქარიშვილი საქართველოს წინააღმდეგ.

საშუალებების გადატანისას სატრანზიტო ქვეყნად გამოყენების მცდელობა.

დღემდე ყველაზე დიდი რაოდენობის ნარკოტიკული საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირების ფაქტი 2014 წლის ზაფხულში დაფიქსირდა, როდესაც სამართალდამცავმა მუშაკებმა 2 ტონა და 790 კილოგრამი თხევადი ჰეროინი აღმოაჩინეს სატვირთო მანქანაში.

ნარკოტიკული საშუალებების (ჰეროინის) ძირითად მწარმოებელ ქვეყნად ითვლება ავღანეთი. ავღანეთიდან ჰეროინი ევროპაში, სავარაუდოდ, სამი სხვადასხვა გზის საშუალებით ხვდება:

1) ბალკანეთის გზა, რომელიც თავის მხრივ სამი გზისგან შედგება: სამხრეთი ნაწილი - ზღვის საშუალებით, საბერძნეთი, ალბანეთი და იტალია; ცენტრალური ნაწილი - ბულგარეთი, მაკედონია, სერბეთი, მონტენეგრო, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ხორვატია, სლოვენია, იტალია, ავსტრია; ჩრდილოეთის ნაწილი - ბულგარეთიდან და რუმინეთიდან უნგრეთის გავლით ავსტრიაში ჩადის არალეგალურად ნარკოტიკი;

2) სამხრეთის გზა - ირანული და პაკისტანური პორტებიდან 500 კილოგრამამდე ჰეროინის ტრანსპორტირება ხდება ევროპაში;

3) ჩრდილოეთის გზა - ცენტრალური აზიის გავლით რუსეთში, უკრაინასა და ბელორუსიაში ხდება ჰეროინის გასაღება⁴⁰.

გარდა ამ სამი გზისა გაჩნდა მეოთხე საშუალებაც, კერძოდ, კავკასიის ქვეყნების გავლით (მათ შორის საქართველოს) ჰეროინის თურქეთში გადატანა, საიდანაც ის უკვე ევროპაში გადააქვთ.⁴¹

2009 წელს თურქი სამართალდამცავების მიერ 16 ტონა ჰეროინი იქნა აღმოჩენილი. თურქეთი ერთ-ერთ ძირითად ღერძად ითვლება

⁴⁰ Europäische Beobachtungsstelle für Drogen und Drogensucht (2015), Schmuggelrouten für Opioide von Asien nach Europa. http://www.emcdda.europa.eu/system/files/publications/2747/Opioid%20trafficking%20routes_POD2015_DE.pdf [7.2.2019].

⁴¹ იქვე.

ნარკოტიკული საშუალების ევროპაში შეტანის გზაზე. თურქეთში ნარკოტიკული საშუალების შეღწევა საქართველოდანაც არის შესაძლებელია.

საინტერესოა შემთხვევა, რომელიც 2018 წლის 5 დეკემბერს მოხდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს პორტუგალიის მოქალაქე, რომელიც თბილისის (საქართველოს) გავლით მიდიოდა ბრაზილიიდან პორტუგალიაში, და რომელმაც ნარკოტიკული საშუალება ბრაზილიიდან ჩამოიტანა. პოლიციამ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მისგან ნივთმტკიცებად ამოიღო 3 კილო და 100 გრამი ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“ და 8 შეკვრად დაფასოებული, ნახევარ კილოგრამამდე „ჰეროინი“.⁴² შეუძლებელია, პორტუგალიის მოქალაქეს ამ ნარკოტიკული საშუალების გასაღება საქართველოში სდომებოდა, სადაც მან არც შავი ბაზრის მდგომარეობა და არც ფასები იცოდა. ამ ნარკოტიკული საშუალების საქართველოში გაყიდვა მას დიდ ფინანსურ მოგებას არც მოუტანდა. სავარაუდოდ, მან საქართველო მხოლოდ სატრანზიტო ქვეყნად გამოიყენა, რათა ნარკოტიკული საშუალების ევროპაში შეტანა მოეხერხებინა, მისი უფრო ძვირად გაყიდვის მიზნით. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბოლო პერიოდში გატარებულმა ლიბერალურმა ნარკოპოლიტიკამ, ნარკოგადამზიდ „კომპანიებში“, ცალკეულ პირებში გააჩინა სურვილი, რომ საქართველო სატრანზიტო ქვეყნად იქნეს გამოყენებული. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო ხდება სატრანზიტო ქვეყანა და იზრდება ალბათობა, რომ ევროპისკენ მიმავალი ნარკოტიკული საშუალებების (მათ შორის მარიხუანას) თუნდაც მცირე ნაწილი ქართულ შავ ბაზარზეც აღმოჩნდეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2018 წლის მეორე ნახევარში ხშირად ხდებოდა ირანელი მოქალაქეების დაკავება თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჰეროინის უკანონო გადმოტანის ფაქტზე. 2018 წლის 22 დეკემბრის განცხადებით „შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტონაზე მეტი

⁴²<https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-saqartveloshi-3-kg-ze-meti-kokainis-danakhavar-kilomde-/1219> [5.12.2018].

წონის სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გაანადგურა. სისხლის სამართლის 750 საქმეზე სხვადასხვა დროს ნივთმტკიცებად ამოღებული და განადგურებული ნარკოტიკების ღირებულება ე.წ. „შავ ბაზარზე“, დაახლოებით, 14 მილიონი ლარია“.⁴³

3.1.2. კრიმინალური ორგანიზებული დაჯგუფებების აღმოჩენა და დაშლა

მარიხუანის და ზოგადად ნარკოტიკული საშუალების გავრცელებასა და გასაღებაში დიდ როლს თამაშობს ორგანიზებული დანაშაული. გერმანიის სამართალდამცავი ორგანოები ვარაუდობენ, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ყოველწლიურად 700 მილიონი ევროს მოგებას იღებენ არალეგალური საქმიანობებიდან.⁴⁴ ამ მოგებული თანხის დიდი ნაწილი მოდის ეკონომიკური ხასიათის დანაშაულებსა (Wirtschaftskriminalität) და არალეგალური ნარკოტიკების გასაღებაზე.⁴⁵ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მსუბუქი და მძიმე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დასჯადობის საფუძველი არის ორგანიზებული დანაშაულის საფრთხე, რამაც შეიძლება მძიმე შედეგები გამოიწვიოს ქვეყნის სამრეწველო, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაზე.⁴⁶ იმის მიუხედავად, რომ საქართველო არ არის ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო, სადაც ორგანიზებული დანაშაული დიდი ფულის შოვნას შეძლებდა, მისთვის მაინც ხელსაყრელია ნარკოტიკების შავ ბაზარზე საქმიანობა, საიდანაც არც თუ ისე მცირეა მოგება. საქართველოსთან მიმართებაში ისიც აღსანიშნავია,

⁴³<https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-nivtmkitsebad-amoghebuli-1-tonaze-meti-narkotikuli-sashualebebi-gaanadgura/12247> [23.12.2018].

⁴⁴ Neubacher, F., Kriminologie. 3. Auflage. Baden-Baden 2017. S. 193.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., ნარკოტიკების მოხმარების დასჯადობის საკითხისთვის. საქართველოს ნარკოსტრატეგიის შედარებითი ანალიზი და ნარკოდანაშაულის სფეროში საკანონმდებლო სრულყოფის საკითხები. სტატიათა კრებული. (რედ.) თოდუა, ნ./ჯანაშია, ჯ., თბილისი 2019. გვ. 56.

რომ ორგანიზებული დანაშაული (თუნდაც იდეოლოგიურ დონეზე) მაინც ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად რჩება ქვეყნისთვის; კრიმინალური დაჯგუფება „კანონიერი ქურდები“ საკმაოდ გავლენიანია საზოგადოებაში, რამაც შეიძლება ნარკოგასაღებას შეუწყოს ხელი. თუნდაც იმიტომ, რომ არ მოხდეს პოლიციასთან თანამშრომლობა ქურდული მენტალობის ზეგავლენის გამო. საბჭოთა კავშირის დროს ქართველი კანონიერი ქურდები მთლიანი ჯგუფის 31,6%-ს შეადგენდნენ.⁴⁷

ადამიანის უფლებათა სტრასბურგის სასამართლო საქმეში აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ უთითებს, რომ კანონიერი ქურდების ერთ-ერთ საქმიანობად სწორედ ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობა მოიაზრებოდა. „1986 წლისთვის დააკავეს 52 ქართველი „კანონიერი ქურდი“. თუმცა, ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს ყველაზე მსუბუქი სასჯელები, რაც კი შესაძლებელი იყო. ეს ნაწილობრივ აიხსნა ორგანიზებული დანაშაულის ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნისთვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი საფუძვლების არარსებობით (იმ დროისთვის არ არსებობდა კანონი, რომელიც კრძალავდა კრიმინალურ ავტორიტეტად ყოფნის ფაქტს). შესაბამისად, ოთხ „კანონიერ ქურდს“ აღკვეთა თავისუფლება პრობაციის წესების დარღვევისთვის, ცხრას მაწანწალობისთვის და „პარაზიტული ცხოვრების სტილის“ სხვა ფორმებისთვის, შემდეგი 14 ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის არაღებულური მფლობელობისა და შენახვისთვის, 19 ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის და დანარჩენი ექვსი „კანონიერი ქურდი“ დააპატიმრეს სხვადასხვა მსუბუქი ხასიათის დანაშაულებისთვის“.⁴⁸

„კანონიერი ქურდების“ გავლენა იმდენად დიდია საზოგადოებაზე, რომ დღესაც ხშირია საპოლიციო ორგანოების მიერ მათი დაკავება საქმის კრიმინალური ნორმებით გარჩევის გამო. ამ გავლენის ერთ-ერთი ასპექტი შეიძლება სწორედ ორგანიზებული ნარკოდანაშაულის ჩადენა

⁴⁷ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ, განაცხადი №45554/08, 2014 წლის 15 ივლისი, პგ. 24.

⁴⁸ იქვე.

იყოს, სადაც ფუნქციები დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს შორის გადანაწილებულია - გადამუშავება, ტრანსპორტირება, გასაღება.⁴⁹

კრიმინალურ დაჯგუფებებთან ბრძოლა, როგორც ნარკოტიკული საშუალებების გასაღების პრევენციის აუცილებელი წინაპირობა ძალზედ რთულია ისეთ ქვეყანაში, სადაც „*დანაშაულებრივი ფენომენი იმდენად ღრმად იყო [არის] საზოგადოებაში გამჯდარი და „კანონიერი ქურდების“ სოციალური ავტორიტეტი იმდენად მაღალი იყო [არის], რომ საზოგადოების ჩვეულებრივი წევრებისთვის ცნებები - „ქურდული სამყარო“, „კანონიერი ქურდი“, „დავების გადაწყვეტა კანონიერი ქურდის ავტორიტეტის გამოყენებით“, „ობშიაკი“ და ა.შ. [ადვილად გასაგებია].*“⁵⁰

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ნარკოტიკული საშუალებების ორგანიზებული ჯგუფების მიერ გავრცელებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მან [მოხმარებამ] შეიძლება გამოიწვიოს გაცილებით უფრო სერიოზული უარყოფითი შედეგები, ვიდრე ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული საფრთხეებია, იმდენად, რამდენადაც უკავშირდება ნარკოტიკებით არალეგალურ ვაჭრობას, ორგანიზებულ დანაშაულს და სხვ.“⁵¹ ნარკოტიკებით არალეგალური საერთაშორისო ვაჭრობა კი, პირდაპირ კავშირშია ძალადობასთან და კორუფციასთან.⁵²

შუალედური დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლოს „მარიხუანასთან“ მიმართებაში მიღებულ გადაწყვეტილებებში არ უმსჯელია მოთხოვნის შემცირების ჩვენ მიერ განხილულ მნიშვნელოვან საკითხებზე: 69 გრამამდე მარიხუანას გასაღების რისკებზე მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით; ქვეყნის გეოგრაფიულ

⁴⁹ გომიამვილი, ირ., ნარკომანია. სოციალური და კრიმინოლოგიური პრობლემები. თბილისი 2009. გვ. 50.

⁵⁰ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ, განაცხადი №45554/08, 2014 წლის 15 ივლისი, პგ. 37.

⁵¹ იხ. მ. ტურავას განსხვავებული აზრი საქმეზე წიქარიშვილი საქართველოს წინააღმდეგ.

⁵² ემბერი, ქ.რ./ემბერი, მ./პერეგრინი, პ., ანთროპოლოგია. თბილისი 2009. გვ. 497.

მდებარეობაზე ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყნად გამოყენების თაობაზე და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ ნარკობიზნესში (მარიხუანას გასაღება) მონაწილეობასა და საზოგადოებაზე გავლენის საკითხზე.

3.2. მოთხოვნის შემცირება

მოთხოვნის შემცირება სამი პრევენციული დონისგან შედგება და გულისხმობს, რომ: 1. ადამიანებს ინტერესი არასოდეს გაუჩნდეთ ნარკოტიკული საშუალებებისადმი; 2. ის ადამიანები, რომლებიც მოიხმარენ ნარკოტიკულ საშუალებებს არასოდეს გახდნენ ავადმომხმარებლები⁵³ და არასოდეს გაუჩნდეთ დამოკიდებულება; 3. ავადმომხმარებელი/დამოკიდებული პირების მიერ შესაბამისი მკურნალობის კურსის გავლა და მოხმარების შეწყვეტა.⁵⁴

ნარკოტიკული საშუალების მოხმარების/მოთხოვნის პირველადი პრევენცია ცდილობს წინასწარ განჭვრიტოს და ხელი შეუშალოს მოხმარების დაწყებას. პირველადი პრევენცია მიმართულია ახალგაზრდა ადამიანებზე, ვისაც საერთოდ არ აქვს ან აქვს მცირე გამოცდილება ნივთიერებების მოხმარებაში და მეტად იმყოფებიან რისკის ქვეშ გახდნენ დამოკიდებულები.⁵⁵

პროგრამები მიზნად ისახავს:⁵⁶ მოუხმარებლობის და თავშეკავების ხელშეწყობას; ახალგაზრდების დახმარებას, უარი თქვან ნარკოტიკებზე; პირველი მოხმარების ასაკის გადავადებას, ეს განსაკუთრებით ეხება

⁵³ ტერმინი - „ავადმომხმარება“ - გულისხმობს ფსიქოაქტიური საშუალებების მოხმარებას არასამედიცინო მიზნით, რომელიც ადამიანს უქმნის ფიზიკურ (ჯანმრთელობასთან და სიცოცხლესთან დაკავშირებულ) და/ან ფსიქოლოგიურ და/ან სოციალურ და/ან მორალურ და/ან სამართლებრივ პრობლემებს. ჯავახიშვილი, ჯ., ნარკოტიკების ავადმომხმარების პრევენცია. ცხოვრების ჯანსაღი სტილის დამკვიდრების მიდგომა. თბილისი 2011. გვ. 25.

⁵⁴ ინაბა, დ.ს./კონი, უ.ე., ცადამყვანები, გამაბრუებლები და სხვები. ფსიქოაქტიური საშუალებების ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტები. მერვე გამოცემა. თბილისი 2017. გვ. 251.

⁵⁵ იგივე, გვ. 252.

⁵⁶ იქვე.

ალკოჰოლსა და თამბაქოს; ჯანმრთელი, ნარკოტიკებისგან თავისუფალი ალტერნატივების წახალისებას ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობის მისაღწევად (მაგ. სპორტი, პირადი მიზნების მიღწევა, ბუნებით ტკბობა).

მეორეული პრევენცია ცდილობს შეაჩეროს მოხმარება მას მერე, რაც ის უკვე დაიწყო (ჩვეულებრივ, ეს ეხება მომხმარებლებს, რომელთაც ჯერ არ აქვთ ჩამოყალიბებული დამოკიდებულება). პრევენციის მიზანი ამ დონეზე ექსპერიმენტული, სოციალური/რეკრეაციული, ან ჩვევაში გადასული მოხმარების აღკვეთაა, შეზღუდული მასშტაბის ავადმომხმარებასთან ერთად, რათა ეს ყველაფერი ხანგრძლივ ავადმომხმარებასა და ადიქციაში არ გადაიზარდოს. ჩარევა იწყება მაშინ, როდესაც ვლინდება პირველი სიმპტომები. პროგრამები ემსახურება ჯანმრთელობაზე სპეციფიკური ზემოქმედების, სამართლებრივი შედეგებისა და ავადმომხმარების ოჯახზე გავლენის შესახებ განათლების მიწოდებას, ასევე კონსულტაციის მიწოდებას.⁵⁷

მესამეული პრევენცია ცდილობს შეაჩეროს მიჩვევის, ავადმომხმარებისა და დამოკიდებულების შედეგად გამოწვეული ზიანი. ის აერთიანებს ავადმომხმარების სამკურნალო და პირველად და მეორად დონეზე გამოყენებულ სტრატეგიებს, როგორცაა ინტერვენცია და ნარკოგანრიდების პროგრამები. მესამეული პრევენცია მუშაობს კომპულსური მოხმარების შეწყვეტაზე რეციდივის პრევენციის სტრატეგიებით, როგორცაა:⁵⁸ ჯგუფური ინტერვენცია პიროვნების სამკურნალო პროგრამაში ჩასართავად, რომელიც ფოკუსირებულია დეტოქსიკაციაზე, სიფხიზლეზე, აღდგენა-გამოჯანმრთელებაზე; სიგნალის ჩაქრობის თერაპია, რაც ახდენს კლიენტის დესენსიტიზაციას ადამიანების, ადგილებისა და ნივთების მიმართ, რომელიც მოხმარების ქცევის გამშვები მექანიზმის როლს ასრულებს; საოჯახო თერაპია

⁵⁷ იგივე, გვ. 254.

⁵⁸ ინაზა, დ.ს./კოენი, უ.ე., ცადამყვანები, გამაზრუებლები და სხვები. ფსიქოაქტიური საშუალებების ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტები. მერვე გამოცემა. თბილისი 2017. გვ. 255.

(განსაკუთრებით ახალგაზრდა მომხმარებლებისთვის), ჯგუფური ფსიქოთერაპია ან რეზიდენტული მკურნალობა თერაპიულ თემში; სპეციფიკური, რეციდივის პრევენციისა და ყოფითი მართვის უნარები სიფხიზლის შესანარჩუნებლად და კომპულსური ქცევის თავიდან ასარიდებლად (ამის მაგალითია უარყოფით „მე“-ხატზე მუშაობა კონსულტანტთან ერთად); ფსიქოფარმაკოლოგიური სტრატეგიები, როგორცაა მეთადონის შემანარჩუნებელი, ბუპრენორფინით ჩამნაცვლებელ, ან სხვა მედიკამენტებით თერაპია, რომელთაც შეუძლიათ აღკვეთის სინდრომის შემსუბუქება ან ლტოლვის შემცირება; ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისება.

სამწუხაროდ, ჩამოთვლილი პირველი, მეორე და მესამეული პრევენციის ღონისძიებები საქართველოში არ ხორციელდება, ან თუ აქვს ნარკომომხმარებლის პრევენციული ხასიათის ღონისძიებებს ადგილი, ეს არის სპონტანური, არასაკმარისი და არ არის პრობლემაზე ორიენტირებული.

ჩვენი ქვეყნისთვის, ალბათ, ყველაზე დიდი პრობლემა არის ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისება და მოსახლეობისთვის ნარკოტიკებისგან თავისუფალი ალტერნატივების შეთავაზება. ამ მხრივ, უდიდესი როლი ენიჭება საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელმაც ბავშვს/მოზარდს არა მხოლოდ კონკრეტული საგნის ცოდნა უნდა მიაწოდოს, არამედ იზრუნოს მისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის სწავლებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრების უპირატესობის ცნობიერების დამკვიდრებაზე.

„სკოლის ატმოსფერო უშუალოდ უნდა წარმოადგენდეს ცხოვრების ჯანსაღი სტილის ცხოვრებაში გატარების მაგალითს. და აქ, პედაგოგების მხრიდან სოციალური ინტერესი, ტოლერანტობა, კეთილგანწყობილება, ურთიერთობისას საკუთარი და მოურთიერთე მხარის ღირსების დაცვაზე ზრუნვა; შემდგომ, ფიზიკური კულტურა, ჯანსაღი კვება, ფსიქოაქტიური ნივთიერებებისაგან თავშეკავება – ყოველივე აქედან გამომდინარე, ურთიერთობების ხასიათი

პედკოლექტივში და ზოგადად, ატმოსფერო სკოლაში - წამყვანი აღმზრდელობით/პრევენციული ფაქტორების როლში გვევლინება“.⁵⁹

3.3. ზიანის შემცირება

სანამ კონკრეტულად ზიანის შემცირების საკითხზე გვექნება საუბარი, აუცილებელია გავარკვიოთ მოაქვს თუ არა ზიანი მარიხუანას მოხმარებას და კონკრეტულად, რა სახის ჯანმრთელობის ზიანი შეიძლება გამოიწვიოს მარიხუანას მოხმარებამ?

3.3.1. ჯანმრთელობის დაზიანება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეებში - შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, განიხილა მარიხუანას ჯანმრთელობაზე გავლენის საკითხი.

ა. ექსპერტთა მოსაზრებების განხილვა

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ საქმეებზე მოუსმინა ქართველ ექსპერტებს. კერძოდ,

- ექსპერტი ირინა ომნიაშვილი (ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ნარკოლოგიური მიმართულების უფროსი)

ექსპერტ ირინა ომნიაშვილის განცხადებით, „მარიხუანით გამოწვეული თრობის თანმდევი ეფექტებია: ქცევის და ფსიქიკის ადეკვატურობის დაკარგვა, პიროვნების დეპერსონალიზაცია და ჰალუცინაციები. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალების ქრონიკული მომხმარებელი თავის დროზე მიდის იმ ფაზამდე, რომ კარგავს ენერგეტიკის

⁵⁹ ჯავახიშვილი, ჯ., ნარკოტიკების ავადმომხმარების პრევენცია. ცხოვრების ჯანსაღი სტილის დამკვიდრების მიდგომა. თბილისი 2011. გვ. 17.

პოტენციალს. სპეციალისტის თქმით, მარიხუანის ქრონიკულმა მოხმარებამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს: „პიროვნების დეგრადაცია, ჭკუასუსტობა, ქრონიკული პარანოიდები ანუ ქრონიკული შიზოფრენიისმაგვარი მდგომარეობა“.⁶⁰

ამ არგუმენტის შემდეგ, სასამართლო მომდევნო წინადადებაში ამბობს „ამასთან, სპეციალისტმა აღნიშნა, რომ არ არსებობს დადასტურებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მარიხუანის, თუნდაც გადამეტებულმა, მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს ფატალური შედეგი.“⁶¹

ვფიქრობთ, ამ კონტექსტში მარიხუანას ფატალურობის საკითხზე ყურადღების გამახვილება/გადატანა შეუსაბამოა და ემსახურება მარიხუანის მოხმარებით გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანების მინიმალიზირებას.

ის რომ მარიხუანას მოხმარება შეიძლება ფატალურ შედეგს არ იწვევდეს არ ნიშნავს, რომ მას მომხმარებლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია. როგორც აღინიშნა, შავ ბაზრებზე გამოსულია მარიხუანა, რომელშიც ტეტრაჰიდროკანაბინოლის შემცველობა 3-ჯერ აღემატება მომხმარებლებისთვის აქამდე ნაცნობ მარიხუანას, აღნიშნულმა კი შეიძლება მომხმარებელს მძიმე ჯანმრთელობის პრობლემები შეუქმნას. მარიხუანას მოხმარებით დამდგარი ფატალური შედეგი იქნებოდა ის უკიდურესობა, რომლის შემთხვევაშიც მარიხუანა პირდაპირ, ყოველგვარი დისკუსიის გარეშე დაექვემდებარებოდა აკრძალვას ისე როგორც კოკაინი, ჰეროინი და სხვა მძიმე საშუალებები.

ამ საკითხის „საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის“ ქვეპუნქტის ქვეშ სასამართლოს მიერ განხილვა გულისხმობს, რომ გაირკვეს არა ის, იწვევს თუ არა მარიხუანის ზედოზირებული მოხმარება სიკვდილს, არამედ - ჯანმრთელობის პრობლემებს.

⁶⁰ შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 25.

⁶¹ იქვე.

- **ექსპერტი ზაზა შენგელია (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, ექიმი ნარკოლოგი)**

ექსპერტის აზრით, „მარიხუანის მოხმარების ქცევით ეფექტებში შედის რელაქსაცია, ფსიქომოტორული აქტივობის დაქვეითება, ყურადღების კონცენტრაციის გაუარესება, დაშორების მანძილის შეფასების უნარის დარღვევა, ავტომობილების მართვის და სხვა მოქმედებების, რომლებიც თხოულობენ ყურადღებას, უნარის დაქვეითება, ეიფორია, კეთილდღეობის შეგრძნება, უდარდელი მდგომარეობა, განგაში, წუხილის და ხალისის მონაცვლეობის მდგომარეობა... ხანგრძლივ მოქმედებაში მას უკვე ახასიათებს მოკლე და სწრაფი მეხსიერების გაუარესება, დასახული ამოცანის შესრულების უუნარობა, დროის, სივრცის აღქმის შეცვლა, ტკივილის ბარიერის დაქვეითება, ცვლილებები სექსუალურ-ემოციურ სფეროში“.⁶²

- **ექსპერტი ალექსანდრე თორია (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი)**

ექსპერტი აცხადებს, რომ „ყველა კანაბინოიდი ცხიმში ხსნადი ნივთიერებაა, შესაბამისად, იგი გროვდება ცხიმებად ქსოვილებში. მისი მიღების დროს ... იგი მიდის პირდაპირ ტვინში, ფილტვებში და სასქესო ორგანოებში, აგრეთვე უჯრედების მემბრანებში. შეაღწევენ რა უჯრედების მემბრანების გავლით თავის უჯრედების ბირთვში, კანაბინოიდები იწვევენ ქიმიური პროცესების და უჯრედოვანი მეტაბოლიზმის ცვლილებებს, არღვევენ დნმ-ის და უჯრედოვანი ცილების სინთეზის პროცესს, რის შედეგადაც უჯრედოვანი აქტიურობა მცირდება ან ჩერდება, რაც იწვევს ორგანიზმის შესაბამისი ფუნქციების დათრგუნვას“.⁶³

⁶² იგივე, II, 26.

⁶³ იქვე.

- ექსპერტი ბეჟა მამაშვილი (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე)

მარიხუანა „იწვევს ფილტვების დაავადებებს, მეხსიერების დაქვეითებას, გონებრივი ჯანმრთელობის პრობლემებს და ხელს უშლის ფსიქიკურ განვითარებას. აგრეთვე, დიდი ოდენობით მარიხუანის მოხმარებამ შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი სიმპტომები, როგორც არის შფოთვა, დეპრესია, ფსიქოზური სიმპტომები და უარყოფითად იმოქმედოს სასუნთქ და გულსისძარღვთა სისტემებზე“.⁶⁴

- ექსპერტი დავით ანდლულაძე (ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის ხელმძღვანელი, ფსიქიატრი, ფსიქოთერაპევტი, ნარკოლოგი)

ექსპერტი უთითებს, რომ „კანაბინოიდების გამოყენება იწვევს ფსიქიკურ და ქცევით აშლილობებს, რომელთაც შესაბამისი ადგილი უჭირავთ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში – „12-კანაბინოიდების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი“. კანაბისის მოხმარებისას ირღვევა აღქმის უნარი, კონკრეტულად, იცვლება დროის, საკუთარი სხეულის, გარემოს, სხეულის ზომების, განათების და სხვა აღქმა. არაბუნებრივად მკაფიო ხდება ფერები, ხმები. იცვლება აზროვნება, ემოცია. ვითარდება ეიფორია. კანაბისის გავლენის შეწყვეტის შემდეგ კი მომხმარებელი გრძნობს ემოციის დაქვეითებას, მცირდება ინტერესები, მოტივაცია. ზოგ შემთხვევაში ვითარდება დელირიუმი სმენითი ჰალუცინაციებით, დევნის ბოდვითი იდეებით, ზოგჯერ აგრესიით და სხვა გამოვლინებებით“.⁶⁵

⁶⁴ იქვე.

⁶⁵ იქვე.

- ექსპერტი გვანცა ფირალიშვილი (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, ნარკოლოგი)

„კანაფის მოხმარებისას მისდამი ფიზიკური დამოკიდებულება ვითარდება გაცილებით უფრო ნელა, ვიდრე სხვა ნარკოტიკული საშუალებების შემთხვევაში. ამასთან, კანაფის ზედოზირების შემთხვევები არ იწვევს ფატალურ შედეგებს“.⁶⁶

ექსპერტები აშკარად მიუთითებენ იმ მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის შედეგებზე, რაც შეიძლება მარიხუანას მოხმარებას მოჰყვეს.

ექსპერტების აზრის მიუხედავად, სასამართლო მაინც ასკვნის, რომ მარიხუანას მოხმარებას მძიმე შედეგები არ მოაქვს ჯანმრთელობის დაზიანებაზე და რომ სხვა ნარკოტიკულ საშუალებებს უფრო მძიმე შედეგის მოტანა შეუძლია ჯანმრთელობისთვის „...კანაფის პროდუქტის მოხმარება შესაძლოა ნეგატიურ გავლენას ახდენდეს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამავე დროს, საფრთხე, რომელიც კანაფის მოხმარებამ შესაძლოა შეუქმნას მომხმარებელს, არის უფრო მსუბუქი სხვა ე.წ. მძიმე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შედეგად გამოწვევად ზიანთან შედარებით“.⁶⁷

საკონსტიტუციო სასამართლო არსად, თავის გადაწყვეტილებაში - შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ ან წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, არ იხილავს სხვა უფრო მძიმე ნარკოტიკული საშუალებების (ჰეროინის, კოკაინის) ბუნებას, მათ მოხმარებასა და მოხმარებისგან გამოწვეულ მძიმე შედეგებს. შესაბამისად, გაუგებარია რატომ ადარებს სასამართლო კანაფის პროდუქტებს სხვა მძიმე ნარკოტიკულ საშუალებებს და ასკვნის, რომ მძიმე ნარკოტიკულ საშუალებებს თურმე უფრო მეტი ზიანის გამოწვევა შეუძლია. მსჯელობა და შესაბამისი დასკვნის გაკეთება შესაძლებელია მას შემდეგ, რაც ერთმანეთთან შედარებული იქნებოდა მსუბუქი და

⁶⁶ იგივე, II, 27.

⁶⁷ იგივე, II, 29.

მძიმე ნარკოტიკული საშუალებების კონკრეტული ზეგავლენა ადამიანზე, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს არ გაუკეთებია.

ექსპერტების აზრის მოსმენის და გაცნობის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლო ამბობს: *„საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია, რომ მარიხუანის მოხმარება ზრდასრულებში არ წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკს პირის ჯანმრთელობისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხდება ქრონიკული და გადამეტებული მოხმარება. მარიხუანის მოხმარება იწვევს ორგანიზმში ისეთ დროებით ცვლილებებს, როგორცაა: პანიკა, მღელვარების დაქვეითება, აღზნებულობა, სტრესი, კოგნიტური და მოტორული ფუნქციის თანდათანობითი დაქვეითება, რეალობის გაძლიერებული აღქმა (ფერი, სურნელი), ჰალუცინაციები, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს სიმპტომები არის შექცევადი, გადის ნარკოტიკული თრობის შემდეგ და არ წარმოადგენს განმტკიცებულ ჯანმრთელობის რისკებს. რაც შეეხება ჯანმრთელობის ქრონიკულ მოშლას, მიდგომა არაერთგვაროვანია. კვლევების თანახმად, მარიხუანის მოხმარების მუდმივი ნეგატიური შედეგი მინიმალურია და მისი არსებობა საეჭვოა... ამრიგად, სასამართლო აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამედიცინო კვლევების თანახმად, მარიხუანის მოქმედების ზიანი ჯანმრთელობაზე არის ნაკლები ან მსგავსი ისეთი ნივთიერების მოხმარებისა, რომელიც არაა აკრძალული, მაგალითად, ალკოჰოლი“.*⁶⁸

ბ. 31-ე პუნქტის დეტალური განხილვა (განმტკიცებელი ჯანმრთელობის საკითხი)

დეტალურად განვიხილოთ საკონსტიტუციო სასამართლოს შანიძის გადაწყვეტილების 31-ე პუნქტი.

სასამართლო აღნიშნავს, *„საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია, რომ მარიხუანის მოხმარება ზრდასრულებში არ წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკს პირის ჯანმრთელობისთვის, გარდა*

⁶⁸ იგივე, II, 31.

იმ შემთხვევებისა, როცა ხდება ქრონიკული და გადამეტებული მოხმარება“.

საკონსტიტუციო სასამართლო არსად, თავის გადაწყვეტილებაში შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ ან წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, არ იხილავს მოზარდებზე და ზრდასრულებზე მარიხუანას ზემოქმედების საკითხს; არ ადარებს მოხმარების ასაკობრივ პრობლემებს. ექსპერტების მიერ მოყვანილი უარყოფითი გავლენა იგულისხმებოდა როგორც მოზარდზე, ასევე ზრდასრულზე. შესაბამისად, ამ შემთხვევაში სასამართლო ცდილობს მარიხუანას მოხმარების უარყოფითი გავლენის საკითხი მხოლოდ მოზარდებზე გადაიტანოს, რაც ვფიქრობთ, არასწორია.

რა თქმა უნდა მოზარდებზე მარიხუანას გავლენა იმაზე უფრო მძიმეა, ვიდრე ამას ექსპერტები ამბობენ. კვლევებით დასტურდება, რომ გარდატეხის პერიოდში მარიხუანას ზეგავლენა მოზარდებზე ძალიან მძიმე შედეგებს იწვევს. სტოქჰოლმის კაროლინკას ნეირობიოლოგიის ინსტიტუტის მიერ ვირთხებზე ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა, რომ ტეტრაჰიდროკანაბინოლი ტვინს (მათ შორის ადამიანის) ოპიადების (უფრო მძიმე ნარკოტიკების) მიღებისკენ განაწყობს.⁶⁹

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა კორელაცია მოსწავლეების მიერ მარიხუანას მოხმარებასა და სკოლიდან გარიცხვას შორის.⁷⁰ ასევე პირდაპირი კავშირი იქნა დადგენილი გარდატეხის პერიოდში მარიხუანას ხშირ მოხმარებასა და ინტელექტუალური დონის შემცირებას შორის.⁷¹

ევროპის ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ცენტრის მონაცემებით ევროკავშირის ქვეყნებში 87,6 მილიონი (15-64 წლის) ადამიანია, ვისაც ერთხელ მაინც მოუხმარია მარიხუანა. აქედან 17,2 მილიონს (15-34 წლის) ბოლო ერთი წლის განმავლობაში აქვს მარიხუანა

⁶⁹ <https://www.nature.com/articles/1301127>; კვლევების თანახმად, გარდატეხის ასაკში მყოფი ადამიანების და ვირთხების ტვინს ბევრი საერთო მახასიათებელი აქვს. იხ. ასევე: Hoch, E., Friemel, Ch. M., Schneider, M. (Hrsg.), Cannabis: Potenzial und Risiko. Eine wissenschaftliche Bestandsaufnahme. Berlin 2019. S. 15.

⁷⁰ Hoch, E., Friemel, Ch. M., Schneider, M. (Hrsg.), Cannabis: Potenzial und Risiko. Eine wissenschaftliche Bestandsaufnahme. Berlin 2019. S. 134.

⁷¹ იგივე, გვ. 82.

მოხმარებული, საიდანაც 9,8 მილიონი 15-დან 24 წლამდე ადამიანია. მარიხუანას მოხმარება 15-დან 24 წლამდე ადამიანების მიერ ევროპის კავშირის ქვეყნებში სხვადასხვაა, მაგ. უნგრეთში 3,5%, ხოლო საფრანგეთში 21,5%.⁷²

სასამართლო შანიძის საქმის იმავე 31-ე პუნქტში უთითებს, რომ „მარიხუანის მოხმარება იწვევს ორგანიზმში ისეთ დროებით ცვლილებებს, როგორცაა: პანიკა, მღელვარების დაქვეითება, აღზნებულობა, სტრესი, კოგნიტური და მოტორული ფუნქციის თანდათანობითი დაქვეითება, რეალობის გაძლიერებული აღქმა (ფერი, სურნელი), ჰალუცინაციები. *თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს სიმპტომები არის შექცევადი*, გადის ნარკოტიკული თრობის შემდეგ და არ წარმოადგენს განმტკიცებულ ჯანმრთელობის რისკებს“.⁷³

პირველ რიგში საინტერესოა რას ნიშნავს „ეს სიმპტომები არის შექცევადი და გადის ნარკოტიკული თრობის შემდეგ“. შესაძლებელია, რომ ერთჯერადად მარიხუანას მოხმარება მხოლოდ დროებით ცვლილებებს იწვევდეს ადამიანის ორგანიზმში. მაგრამ, როგორც ვიცით მარიხუანა ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას იწვევს (რასაც არ უარყოფს საკონსტიტუციო სასამართლო), რაც „გულისხმობს ნარკოტიკული საშუალების მიმართ აკვიატებულ ლტოლვას, მოხმარება-არმოხმარების თაობაზე არჩევანის გაკეთების უნარის დაკარგვას, ადამიანის ფსიქოლოგიურ მიჯაჭვულობას ნარკოტიკებზე“⁷⁴ და რაც აიძულებს ადამიანს ისევ და ისევ მოიხმაროს მარიხუანა. შესაბამისად, „კოგნიტური და მოტორული ფუნქციის თანდათანობითი დაქვეითება“, რომელიც არის პროცესი და არის არა თუ შექცევადი, არამედ შეუქცევადი და მარიხუანას არაერთჯერადი მოხმარება ნელ-ნელა იწვევს მომხმარებელში აღქმის, აზროვნების, ინტელექტის, მეტყველების, მეხსიერების და მოძრაობის შეზღუდვას და

⁷² Europäische Beobachtungsstelle für Drogen und Drogensucht (2018), Europäischer Drogenbericht 2018: Trends und Entwicklungen, Amt für Veröffentlichungen der Europäischen Union, Luxemburg. S. 41.

⁷³ შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 31.

⁷⁴ ჯავახიშვილი, ჯ., ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრევენცია. ცხოვრების ჯანსაღი სტილის დამკვიდრების მიდგომა. თბილისი 2011. გვ. 26.

დაქვეითებას,⁷⁵ რასაც თავადაც არ უარყოფს საკონსტიტუციო სასამართლო.

საინტერესოა ასევე რას ნიშნავს „განმტკიცებული ჯანმრთელობის რისკი“. სასამართლოს ამ ტერმინით სურს თქვას, რომ იმას ვისაც ჯანმრთელობა განმტკიცებული აქვს, ანუ ჯანმრთელია, მას არ შეექმნება მარიხუანას მოწვევის დროს პრობლემა. ცნობილია, რომ ხშირად ნარკომომხმარებლები სოციალურად დაუცველი, უმუშევარი ადამიანები არიან და ხშირია მათში ჯანმრთელობის პრობლემები.⁷⁶ ასე რომ, შეიძლება „განმტკიცებული ჯანმრთელობის“ მქონე ადამიანების ქვეშ მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილი მოიაზრებოდეს, ვინაიდან არავისთვის არის უცხო, რომ ჯანმრთელობის პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა ქვეყანაში. საკვები პროდუქტების არასაკმარისი კონტროლი, დაბინძურებული გარემო და ჰაერი, ნაკლები სპორტული აქტივობები პირდაპირ განაპირობებს მოსახლეობის ჯანმრთელობის პრობლემებს. ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ 2016 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულ 14-29 წლამდე 1200 ახალგაზრდიდან სპორტს მხოლოდ 21 პროცენტი, ანუ მხოლოდ ყოველი მეხუთე მისდევდა ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრებას.⁷⁷ შესაძლებელია, მარიხუანას მოხმარება არ წარმოადგენდეს ჯანმრთელობის პრობლემას ისეთ ქვეყანაში სადაც მოსახლეობას „განმტკიცებული ჯანმრთელობა“ აქვს (იკვებება ჯანსაღი პროდუქტით, ცხოვრობს სუფთა ბუნებრივ გარემოში, მისდევს ცხოვრების ჯანსაღ წესებს), თუმცა ამას ვერ ვიტყვით საქართველოზე, რომელსაც როგორც

⁷⁵ კოგნიტური განვითარება არის შემეცნების პროცესის განვითარება, რომელიც მოიცავს წარმოსახვას, აღქმას, აზროვნებასა და ამოცანის გადაწყვეტას. გერიგი, რ./ზიმბარდო, ფ. ფსიქოლოგია და ცხოვრება. თბილისი 2009. გვ. 796.

⁷⁶ კრისტი, ნ., დანაშაულის კონტროლი, როგორც ინდუსტრია. გულაგების მიმართ დასავლური მიდგომა. თბილისი 2017. გვ. 93-95.

⁷⁷ ფრიდრიხ ებერტის ფონდმა 2016 წელს ჩატარა კვლევა და გამოკითხა 14-29 წლის 1200 ახალგაზრდა. ამ მეთოდით კვლევის პერიოდულად ტარდებოდა გერმანიაში 1953 წლიდან მოყოლებული და ითვლება რომ წარმოადგენს მნიშვნელოვან მაჩვენებელს საზოგადოების განვითარების კუთხით.

ფრიდრიხ ებერტის ფონდი. თაობა გარდამავალ პერიოდში. ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო. თბილისი 2017. გვ. 181. იხ. <http://www.fes-caucasus.org>. (

აღვნიშნეთ, სერიოზული პრობლემები აქვს ჰაერის, საკვების დაბინძურებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრების, რაც ლოგიკურად კიდევ უფრო ზრდის მარიხუანას მოხმარებით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემების რისკს.

გარდა ამისა, ცოტა გაუგებარია, რატომ გამოყოფს საკონსტიტუციო თავის გადაწყვეტილებაში ქვეყნის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც „განმტკიცებული ჯანმრთელობა“ აქვს. სასამართლო ხომ ამ გადაწყვეტილებებით ყველას უხსნის გზას მარიხუანას მოხმარებისკენ, იმათ ვისაც „განმტკიცებული ჯანმრთელობა“ აქვს, და იმათაც, ვისაც „განმტკიცებული ჯანმრთელობა“ არა აქვს. რეალურად სასამართლო აღიარებს, რომ მათ ვისაც „განმტკიცებული ჯანმრთელობა“ არა აქვს, მათთვის სიმპტომები არის შეუქცევადი/მუდმივი. ეს სიმპტომებია: პანიკა, მღელვარების დაქვეითება, ადგუნებულობა, სტრესი, კოგნიტური და მოტორული ფუნქციის თანდათანობითი დაქვეითება, რეალობის გაძლიერებული აღქმა (ფერი, სურნელი), ჰალუცინაციები.

გ. 31-ე პუნქტის დეტალური განხილვა (საერთაშორისო კვლევების საკითხი)

სასამართლო ბოლოს ასკვნის, რომ *„საერთაშორისო სამედიცინო კვლევების* თანახმად, მარიხუანის მოქმედების ზიანი ჯანმრთელობაზე არის ნაკლები ან მსგავსი ისეთი ნივთიერების მოხმარებისა, რომელიც არაა აკრძალული, მაგალითად, ალკოჰოლი“.⁷⁸

საკითხავია, საიდან აქვთ ქართველ ექსპერტებს მარიხუანას შესახებ ინფორმაცია. პირველ რიგში სამეცნიერო კვლევებიდან. ეს კვლევები ჩატარებულია ან საქართველოში ან უცხოეთში. უცხოეთში ჩატარებული კვლევები ქართულ რეალობას შესაძლებელია ვერ ასახავდეს. შესაბამისად, ქართველი ექსპერტების ცოდნის უპირატესობა უცხოური კვლევებთან შედევებით ის არის, რომ ქართველი ექსპერტები სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე კარგად იცნობენ ქვეყნის სოციალურ-კულტურულ ასპექტს, ნარკომომხმარებლების ბიო-ფსიქო-სოციალურ განწყობებს, რაც უდიდეს როლს თამაშობს

⁷⁸ შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 31.

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების დროს. შანიძის საქმეში დასახელებული 6 ექსპერტიდან ოთხი არის ნარკოლოგი, ანუ მათ პირდაპირი კავშირი ჰქონიათ ქართველ ნარკომომხმარებლებთან და კარგად იციან ის სოციალურ-კულტურული ასპექტი, რაც შესაძლებელია ქართველ ნარკოდამოკიდებულს ახასიათებდეს.

საინტერესოა, რომელ „საერთაშორისო სამედიცინო კვლევებზე“ საუბრობს სასამართლო, რომელიც ქართველ ექსპერტებს არა აქვთ წაკითხული და რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლო დაეყრდნო ამ საკითხის შეფასებისას?

სასამართლოს მიერ ექსპერტების მოსაზრების უარყოფა და „საერთაშორისო სამედიცინო კვლევებზე“ დაყრდნობა ემსახურება მარიხუანას ჯანმრთელობის უარყოფით გავლენაზე საკითხის მსუბუქ ფორმებში გადატანას და გადმოცემას. რაც, ვფიქრობთ, არ გამომდინარეობს შანიძის საქმეში განვითარებული ზემოაღნიშნული მსჯელობიდან. ყველა ექსპერტი მიუთითებს მარიხუანას უარყოფით ზეგავლენაზე, ხოლო სასამართლო იშველიებს „საერთაშორისო სამედიცინო კვლევებს“ და აცხადებს, რომ „მარიხუანის მოქმედების ზიანი ჯანმრთელობაზე არის ნაკლები“.

ვფიქრობთ, ასეთ რეზონანსულ საკითხზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებული იყო დაესახელებინა ის „საერთაშორისო სამედიცინო კვლევები“,⁷⁹ რომლებიც ამბობენ, რომ „მარიხუანის მოქმედების ზიანი ჯანმრთელობაზე არის ნაკლები“.

დ. 31-ე პუნქტის დეტალური განხილვა (ალკოჰოლის და მარიხუანას შედარების საკითხი)

საკონსტიტუციო სასამართლო მარიხუანას მოხმარებას ადარებს ალკოჰოლის მიღებას და ამბობს, რომ ალკოჰოლს უფრო მეტად გააჩნია მავნე ზეგავლენა ადამიანზე, ვიდრე მარიხუანას.

⁷⁹ შედარებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებაში - BVerfG 1990, 145 - რომელიც მარიხუანას მოხმარების საკითხს ეხება, პირდაპირ უთითებს წყაროებს, რომელსაც ის ეყრდნობა საკითხის არგუმენტირებულობის დროს.

1990 წელს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში ერთმანეთს შეადარა ალკოჰოლი და მარიხუანა და თქვა: ალკოჰოლის შედარება მარიხუანასთან არასწორია და ეს არ იწვევს თანასწორობის უფლების დარღვევას, ვინაიდან ალკოჰოლმა საუკუნეების განმავლობაში საზოგადოებაში დაიმკვიდრა სოციალური სტატუსი. ალკოჰოლი (ღვინო) არის გართობის საშუალება და კონკრეტული საეკლესიო რიტუალის ჩატარების ერთ-ერთი ატრიბუტი.⁸⁰ გარდა ამისა, შესაძლებელია ალკოჰოლის იმ რაოდენობით მიღება, რომ მან თრობა არ გამოიწვიოს, რასაც ვერ ვიტყვით მარიხუანაზე, რომლის მოწვევის მიზანი სწორედ რომ თრობის გამოწვევაა; ალკოჰოლის თრობის მდგომარეობა საზოგადოდ ცნობილია და მისი სოციალური კონტროლი შესაძლებელია.⁸¹ შესაბამისად, შეუძლებელია ამ ორი თრობის საშუალების ერთმანეთთან შედარება. გარდა ამისა, „ალკოჰოლის მიმართ საქართველოში განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს - იგი ქართული კულტურის ნაწილია. [ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ვაზის სამშობლო საქართველოა]. აქედან გამომდინარე, ჩვენში იმთავითვე ძვეს ალკოჰოლის ავადმომხმარებლისა და ალკოჰოლიზმის, როგორც დაავადების განვითარებისაგან დამცავი მექანიზმები: ტრადიციულად, მარტო სმა მიღებული არ არის; ადამიანი, როცა სვამს - სუფრის წესები უნდა დაიცვას და ამდენად, „ფორმაში“ იყოს; აქ მიზანი არა თრობის მიღწევა, არამედ ურთიერთობა და დროის შინაარსიანად გატარებაა, გაზავებული საუბრით, ლექსებით, სიმღერებითა თუ თავის გამოხატვის სხვა ხერხებით; სუფრა 3-6 საათი მიმდინარეობს, სმას ახლავს ჭამა, რაც ალკოჰოლიზაციის ეფექტს ამცირებს; დალევისთვის, წინათ, როგორც წესი, ღვინო (და არა სპირტიანი სასმელები) გამოიყენებოდა; დათრობა ქართულ სუფრაზე შეუფერებელ, სამარცხვინო საქციელად ითვლებოდა“.⁸²

⁸⁰ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება - BVerfG 1990, 145 (188).

⁸¹ იქვე.

⁸² ჯავახიშვილი, ჯ., ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრევენცია. ცხოვრების ჯანსაღი სტილის დამკვიდრების მიდგომა. თბილისი 2011. გვ. 28.

„ისტორიულად დადასტურებულია, რომ იმუნოლოგიური რეაქციები - ანტიხეულების სწრაფი გამომუშავება, რათა შეებრძოლოს იმ სუბსტანციებს, რომლებიც ორგანიზმს ვნებენ - არსებობდა“.⁸³

საუკუნეების განმავლობაში ქართველს ალკოჰოლის მიმართ ჩამოუყალიბდა იმუნოლოგიური (თავდაცვითი) რეაქციები, რაც არ გვაქვს მარიხუანას მიმართ. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მარიხუანა უფრო ცუდად იმოქმედებს ჩვენ ჯანმრთელობაზე და ორგანიზმზე, ვიდრე ალკოჰოლი მოქმედებს.

როგორი ხასიათის დამოკიდებულებაც გვაქვს ალკოჰოლისადმი, მსგავსი ეროვნული ხასიათის დამოკიდებულება არა გვაქვს მარიხუანასადმი, შესაბამისად, ისინი ვერ ჩაითვლებიან „მნიშვნელოვნად თანასწორ“ ობიექტებად და მათი შედარება, თუნდაც შედეგობრივი თვალსაზრისით, ვფიქრობთ, რომ არ შეიძლება.

1976 წელს აშშ-ში, 8 წლიანი კვლევა განხორციელდა, რომელშიც მონაწილეობდნენ ნარკოტიკების მომხმარებელი და არამომხმარებელი მოზარდები. კვლევამ აჩვენა, რომ „ნარკოტიკის ყოველდღიური მოხმარება უარყოფითად მოქმედებს პიროვნულ და სოციალურ ადაპტაციაზე, არღვევს ურთიერთობებს, ამცირებს სწავლის პოტენციალს, ზრდის კრიმინალს ძალადობის გარეშე და ხელს უწყობს დეზორგანიზებულ აზროვნებას. ამავე დროს, მოზარდები, რომლებიც ზომიერად იღებენ ალკოჰოლს და სხვა არაფერს (არანაირ ნარკოტიკს), აღენიშნებოდათ მომეტებული სოციალური ინტეგრაცია და თვითპატივისცემა“.⁸⁴

გარდა ამისა, ვფიქრობთ, ალკოჰოლისა და სიგარეტისგან⁸⁵ მომდინარე საფრთხე ქვეყნის (ახალგაზრდა) მოსახლეობისთვის იმდენად მძიმე და გადაუჭრელია,⁸⁶ რომ მას მარიხუანას მოხმარებისგან გამოწვეული საფრთხეებიც რომ დავუმატოთ, შესაძლებელია სახელმწიფო ისეთი

⁸³ გერიგი, რ./ზიმბარდო, ფ. ფსიქოლოგია და ცხოვრება. თბილისი 2009. გვ. 240.

⁸⁴ იგივე, გვ. 216-217.

⁸⁵ დეპუტატ აკაკი ზოიძის განცხადებით საქართველოში სიგარეტს მილიონზე მეტი ადამიანი ეწევა და 16-დან 13 წლამდეა ჩამოსული რეგულარული მწველის მარკენებელი. <https://www.palitravideo.ge> [16.03.2019].

⁸⁶ ალკოჰოლიდან მომდინარე საფრთხეებზე ნორვეგიაში იხ.: კრისტი, ნ., ტკივილის საზღვრები. სასჯელის როლი სასჯელადსრულების პოლიტიკაში. თბილისი 2017. გვ. 31-35.

საფრთხის წინაშე დადგეს (ორგანიზებული ჯგუფების გააქტიურება, მოზარდი თაობის გაუნათლებლობა, კრიმინოგენური მდგომარეობის გაუარესება), რომ ვეღარ უზრუნველყოს მოქალაქეების ძირითადი უფლებების დაცვა.

3.3.2. საზოგადოებრივი უსაფრთხოება

ა. მარიხუანას მოხმარება და დანაშაულის ჩადენა

საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა საკითხი, რამდენად ქმნის მარიხუანას მოხმარების ქვეშ მყოფი პირი საზოგადოებრივ საშიშროებას. შანიძის საქმეში სასამართლომ აღნიშნა, „ალკოჰოლის მსგავსად, მარიხუანის შემთხვევაშიც ჰიპოთეტურია დასკვნა, რომ მისი მოხმარება აბსტინენციის ჩამოყალიბებას გამოიწვევს და აბსტინენციის მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ, ნარკოტიკული საშუალების მოპოვების მიზნით დანაშაულის ჩადენას“.⁸⁷

სასამართლო ამბობს, რომ ალკოჰოლის მსგავსად, მარიხუანის შემთხვევაშიც ჰიპოთეტურია დასკვნა, რომ მისი მოხმარების თავშეკავება გამოიწვევს ნარკოტიკული საშუალების მოპოვების მიზნით დანაშაულის ჩადენას.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქონი აღწერდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედ კრიმინალურ სუბკულტურებს⁸⁸ და

⁸⁷ შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 37.

⁸⁸ გასული საუკუნის პირველი ნახევრის ჩიკაგოსა და 21-ე საუკუნის თბილისის შორის ბევრი საერთო ნიშნები არსებობს: შიდა და გარე მიგრაცია, მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი ზრდა, უმუშევრობა, სიღარიბე, ახალგაზრდების უპერსპექტივობა, მოსახლეობის ფენებად დაყოფა, უსახლკარობა, აზარტული თამაშები, ქუჩის უკონტროლო პროსტიტუცია, სოციალური კონტროლის შესუსტება/მოშლა. ეს ყოველივე, როგორც აღინიშნა არის ნიშანი სუბკულტურების ჩამოყალიბების, მათ შორის კრიმინალური და ნარკომომხმარებელთა სუბკულტურის. Schubert, H-J., The Chicago School of Sociology. Theorie, Empirie und Methode. In: Klingemann, C. (Hrsg.), Jahrbuch für Soziologiegeschichte Soziologisches Erbe: Georg Simmel – Max Weber – Soziologie und Religion – Chicagoer Schule der Soziologie. Wiesbaden 2007. S. 119-166; Junker, D., Weltwirtschaftskrise. New Deal, Zweiter Weltkrieg, 1929-1945. In: Adams, W. P. u.a. Frankfurt/M 1992. S. 146-163.

აღნიშნავდა, რომ ერთ-ერთი სუბკულტურა იყო ნარკოდამოკიდებულების. ქონის აზრით, ნარკოდამოკიდებულთა სუბკულტურა განსხვავებული ცხოვრების სტილით ხასიათდება, კერძოდ: ნარკოდამოკიდებულება იწვევდა დანაშაულის ჩადენას; ნარკოდამოკიდებულება იქ წარმოიქმნებოდა, სადაც დელიქვენტობა ხშირი იყო; ნარკოდამოკიდებულები მოზარდების დიდი ნაწილი დამოკიდებულებამდე იყვნენ დანაშაულის ჩადენაში შემჩნეულები; ნარკოდამოკიდებულები უარს ამბობენ ძალადობრივი სახის დანაშაულზე (ყაჩაღობა, შეურაცხყოფა, ბანდების ომი) და ეკონომიკური (ფინანსური მოგების) ხასიათის დანაშაულებს ჩადიოდნენ; მათი დანაშაულის ძირითადი მიზანი დანაშაულით მიღებული ფულით ნარკოტიკული საშუალებების შეძენა იყო.⁸⁹

იმისათვის, რომ მარიხუანას მომხმარებლების მიერ დანაშაულის ჩადენის საკითხზე ვისაუბროთ აუცილებელია მრავალი ფაქტორის გათვალისწინება. ეს ფაქტორებია: მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობა, მარიხუანას ხელმისაწვდომობა, მარიხუანას ფასი ბაზარზე და ა.შ.⁹⁰ თუ გავითვალისწინებთ, რომ მარიხუანას მომხმარებელთა ასაკობრივი კატეგორია, მათ შორის მსოფლიოში, ძირითადად მოზარდები (30 წლამდე პირები) არიან, მნიშვნელოვანი იქნება გავიგოთ რა ფინანსური შესაძლებლობები შეიძლება ჰქონდეთ ქართველ მოზარდებს მარიხუანას შესაძენად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთი გრამი მარიხუანას ფასი 60-150 ლარია (სიძლიერის მიხედვით) ქართულ შავ ბაზარზე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, მხოლოდ ბოლო ოთხ წელში (2016-2019) მეცხრე კლასის შემდეგ სკოლა 29 529 მოსწავლემ დატოვა, რომელთაგან 7 915 სწავლა პროფესიულ სასწავლებელში გააგრძელა.⁹¹ 2017-2018 წლებში სკოლის საატესტატო გამოცდები ვერ ჩააბარა ან მონაწილეობა არ მიიღო გამოცდებში 40 000-მა მოზარდმა.⁹² ამ ციფრს თუ დავუმატებთ იმ მოზარდების რაოდენობას, ვინც ერთიან ეროვნულ გამოცდებს ვერ

⁸⁹ Cohen, A. K./Short J.F., Zur Erforschung delinquenter Subkulturen. In: Sack, F./König, R. (Hrsg.): Kriminalsoziologie, Frankfurt a. M. 1968, S. 372-394.

⁹⁰ Neubacher, F., Kriminologie. 3. Auflage. Baden-Baden 2017. S. 174.

⁹¹ <https://www.interpressnews.ge> [31.10.2019].

⁹² <https://www.interpressnews.ge> [04.05.2019].

აზარებს (ყოველწლიურად 10-12 ათასი), ივარაუდება, რომ ყოველწლიურად 30 ათასამდე მოზარდი გამოდის შრომით ბაზარზე ყოველგვარი სამუშაო უნარ-ჩვევებისა და პროფესიული განათლების გარეშე. ამ მოზარდების დიდ ნაწილს ფინანსური შემოსავალი არ გააჩნია.

ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ 2016 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულ 14-29 წლამდე 1200 ახალგაზრდიდან 11 პროცენტი აცხადებს, რომ საჭმლისთვის საკმარისი ფული არა აქვთ, 33 პროცენტი კი აცხადებს, რომ არა აქვთ საკმარისი ფული ფეხსაცმლის და ტანსაცმლის შესაძენად.⁹³

საინტერესოა ასევე კვლევა რომელიც 2011 წელს ჩატარდა საქართველოში. ამ კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იქნა საქართველოში და თბილისში მცხოვრები 1058 18-24, 40-50 და 60-70 წლის (სამი თაობის) ადამიანი. „გამოკითხულთა თითქმის ნახევარმა (48.2 პროცენტი) მიუთითა, რომ ბოლო 3 თვის განმავლობაში არ ჰქონდა შემოსავალი“.⁹⁴ ფინანსთა მინისტრის განცხადებით, 2019 წელს 600 000 ადამიანის მოვალეების შავი სიიდან ამოსარიცხად ქართუ ჯგუფმა მათი ვალი დაფარა. ვალი ჩამოეწერა იმ ადამიანებს, ვინც ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვერ იხდიდა ვალს და რომლის სესხის ძირი არ აღემატებოდა 2000 ლარს.⁹⁵

დანაშაულის ჩადენის ალბათობა, რა თქმა უნდა ასეთი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ქვეყანაში, როგორც საქართველოა, იზრდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოზარდს არა აქვს ფინანსები, მაგრამ აქვს სურვილი მარიხუანას მოწევის.

დასავლეთ ევროპული კვლევები, რომელიც ვერ ადასტურებენ მარიხუანას მოხმარებასა და დანაშაულს შორის პირდაპირ კავშირს, შესაძლებელია პირდაპირ ვერ იქნეს გათვალისწინებული ქართულ რეალობაზე. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოზარდებს პროფესიული და უმაღლესი სწავლების ან დასაქმების უფრო მეტი შესაძლებლობა

⁹³ ფრიდრიხ ებერტის ფონდი. თაობა გარდამავალ პერიოდში. ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო. თბილისი 2017. გვ. 16. იხ.: <http://www.fes-caucasus.org>. [10.03.2019].

⁹⁴ სუმბაძე, ნ. თაობები და ღირებულებები. თბილისი 2012. გვ. 50.

⁹⁵ <https://on.ge> [05.04.2019].

აქვთ, ვიდრე ქართველ მოზარდებს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ნაკლებია სიღარიბე და ეკონომიკური დაუცველობა, ვიდრე საქართველოში. შესაბამისად, მათ (ევროპელ მოზარდებს) შესაძლებელია საერთოდ არ სჭირდებოდეთ მარიხუანას მოსაპოვებლად დანაშაულის ჩადენა. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ხშირად სასამართლო ეყრდნობა ისეთ კვლევებს, რომელიც განვითარებულ ევროპის ქვეყნებშია ჩატარებული (გერმანია, ინგლისი, ჰოლანდია, სკანდინავიის ქვეყნები), სადაც მოზარდის სოციალურ-ეკონომიკური დაცვის სტანდარტი გაცილებით მაღალია სხვა ევროპულ ან თუნდაც ქართულ სახელმწიფოსთან შედარებით.

2016 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ განხორციელდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი ტენდენციების კვლევა პრობაციონერებთან. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1 163-მა რესპონდენტმა თბილისიდან და რეგიონებიდან. კვლევის რესპონდენტებს წარმოადგინენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით (პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმენა, შენახვა ან ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება) მსჯავრდებული პრობაციონერები. აღნიშნული კვლევის თანახმად, გამოკითხულ ნარკომომხმრებელთა 66% მიუთითებს, რომ მას პირველად ნარკოტიკის მოხმარების დროს საკუთარი შემოსავალი არ ჰქონდა.

ბ. მარიხუანას გასაღების შესაძლებლობა

შეიძლება ასევე, ისეთ შემთხვევებს ჰქონდეს ადგილი, როდესაც თავად მომხმარებლები ასაღებენ ნარკოტიკულ საშუალებებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბექა წიქარიშვილის საქმის შემდეგ 69 გრამამდე მარიხუანას ქონა არ იწვევს თავისუფლების აღკვეთას, უნდა ვივარაუდოთ, რომ 69 გრამამდე მარიხუანას ქონა და მისი გასაღება კარგი საშუალებაა მოხმარების სურვილის დასაკმაყოფილებლად. ანუ,

მომხმარებელი თან ასაღებს მარიხუანას და თან მოიხმარს მას. ამას სიღარიბის ინდიკატორი ეწოდება.⁹⁶

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიუღებელი იყო ნარკოტიკებით ვაჭრობა. ამ საქმიანობას საზოგადოების დიდი ნაწილი ძალიან ნეგატიურად უყურებდა და ეპყრობოდა. ფრიდრიხ ებერტის ფონდის 2016 წლის კვლევამ აჩვენა, რომ „ღირებულებების გლობალურ დონეზე, საქართველო უფრო მეტად იხრება ტრადიციული ფასეულობებისა და თვითგადარჩენისკენ“.⁹⁷

მარიხუანას მოწვევის მსურველ, ფინანსურად ღარიბ მოქალაქეს, რომელიც თვითგადარჩენისთვის იბრძვის, ნაკლებად აინტერესებს საზოგადოების დიდი ნაწილის შეხედულება მის პიროვნებაზე. მთავარია, ის იღებს ფინანსურ და „სულიერ“ სარგებელს საკუთარი საქმიანობიდან, მარიხუანას გასაღებიდან.

რაციონალური არჩევანის თეორიის თანახმად, ხალხი აკეთებს არჩევანს ხარჯი-მოგების ძალზედ რაციონალურ გათვლების საფუძველზე. „ადამიანები უმთავრესად ითვალისწინებენ საკუთარი თავისათვის სასარგებლო შედეგებს და არა იმას, თუ რა უარყოფით ზეგავლენას მოახდენს მათი ქმედებები სხვებზე“.⁹⁸

დაშვებული 69 გრამიდან თუ პირმა 60 გრ. გაყიდა და 9 დაიტოვა საკუთარი მოხმარებისთვის და დარჩა მოგება ერთ გრამზე 10 ლარი. 60 გრამში მოგება შეადგენს 600 ლარს. თუ ის შეძლებს თვეში 200-250 გრამის გაყიდვას, შესაბამისად, თვეში მისი შემოსავალი (სუფთა მოგება) იქნება 2000-2500 ლარი. სისხლის სამართლის კოდექსის 273¹ მუხლით გათვალისწინებულმა სანქციებმა შეიძლება მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ მარიხუანადამოკიდებულს მარიხუანას გასაღებაში არ შეუშალოს ხელი და მოსალოდნელმა სასჯელმა ვერ იმოქმედოს მასზე პრევენციულად.

⁹⁶ კრისტი, ნ., დანაშაულის კონტროლი, როგორც ინდუსტრია. გულაგების მიმართ დასავლური მიდგომა. თბილისი 2017. გვ. 147.

⁹⁷ ფრიდრიხ ებერტის ფონდი. თაობა გარდამავალ პერიოდში. ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო. თბილისი 2017. გვ. 11, 202-203. იხ.: <http://www.fes-caucasus.org>. [10.03.2019].

⁹⁸ კალჭუნი, ქ./ლაითი, დ./კელერი, ს., სოციოლოგია. ნაწილი I. თავი I. თბილისი 2007. გვ. 42.

ზემოაღნიშნული მსჯელობის შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის, მარიხუანას ხელმისაწვდომობისა და მარიხუანას შავ ბაზარზე არსებული ფასის გათვალისწინებით, შეიძლება მარიხუანას მომხმარებელმა ჩაიდინოს დანაშაული, როგორც მარიხუანას გასაღების, ასევე მარიხუანას შესაძენად ეკონომიკური დანაშაულის ჩადენის კუთხით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ქურდობის (სსკ 177-ე მუხლი) ფაქტები 2018 წელს წინა წელთან შედარებით თითქმის 100%-ით გაიზარდა (2017 წელს დაფიქსირდა 10578 ქურდობის შემთხვევა, ხოლო 2018 წელს - 19732). გარდა იმისა, რომ შეიძლება დანაშაულის აღრიცხვა გაუმჯობესდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ და ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, შესაძლებელია ქურდობების ზრდა განპირობებული იყოს მარიხუანას მომხმარებლების მიერ ეკონომიკური დანაშაულის ჩადენით, ნარკოტიკული საშუალების შექმნის მიზნით (თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა/კვლევა). მარიხუანას მოხმარების მიმართ დამკვიდრებულ ლიბერალურ მიდგომას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ მარიხუანას უკანონო დათესვის ფაქტები 2018 წელს 2-ჯერ არის გაზრდილი. შსს მიერ 2017 წელს დაფიქსირდა ნარკოტიკების შემცველი უკანონო დათესვის (სსკ 265 მუხლი) 128 ფაქტი, ხოლო 2018 წელს - 383.

გ. მარიხუანა როგორც „კარიბჭის ნარკოტიკი“

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის მიერ მოყვანილი კვლევა. როგორც აღინიშნა, 2016 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ განხორციელდა პრობაციონერთა გამოკითხვა, რითიც დადგინდა, რომ გამოკითხულთა 56,6%-მა პირველად მარიხუანა მოიხმარა, როგორც „კარიბჭის ნარკოტიკი“.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „*მოპასუხის მიერ წარმოდგენილი კვლევის მონაცემები დამაჯერებლად არ მიუთითებს მარიხუანის და სხვა უფრო მძიმე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას შორის კავშირის არსებობაზე. საქართველოს*

საკონსტიტუციო სასამართლო არ გამოირიცხავს, რომ მარიხუანის ზოგიერთმა მომხმარებელმა შემდგომში სხვა, უფრო მძიმე ნარკოტიკული საშუალება მოიხმაროს, თუმცა აღნიშნულის გამომწვევი მიზეზი ვერ იქნება უშუალოდ მარიხუანა და მისი დამახასიათებელი თვისებები“.⁹⁹

ვფიქრობთ, სასამართლოს მიერ 2016 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ განხორციელებული კვლევა არასათანადოდ იქნა შეფასებული, ვინაიდან:

- საკონსტიტუციო სასამართლოს ეჭვქვეშ არ დაუყენებია კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია;
- საკონსტიტუციო სასამართლოს თავად არ მოუყვანია კვლევა, რითაც გააბათილებდა 2016 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებს;
- საკონსტიტუციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია, რომ მარიხუანას მომხმარებელს ნარკოტიკული საშუალებების მიღებისადმი შიში უქრება, რითაც იზრდება ალბათობა სხვა ძლიერი საშუალებების მიღების (რაც კვლევითაც დადასტურდა);
- გასათვალისწინებელია, რომ მარიხუანას მომხმარებელს უფრო შეუძლია შავ ბაზარზე სხვა ნარკოტიკული საშუალების მოპოვება, ვიდრე - არამომხმარებელს;
- და ბოლოს, ადამიანის ორგანიზმი ეჩვევა კონკრეტულ დოზას და მისთვის აუცილებელია ან ამ დოზის გაზრდა, ან ნარკოტიკული საშუალების შეცვლა.

ადამიანის ქმედება მეტად კომპლექსურია. შესაბამისად, მარიხუანადან სხვა მძიმე ნარკოტიკზე გადასვლა პირდაპირ მხოლოდ ამ მიზეზით შეიძლება ვერც დადასტურდეს (გარდა ნეირობიოლოგიური კვლევებისა) ვერასდროს. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ „თამბაქოს, ალკოჰოლისა და მარიხუანას მოხმარება ნარკოკარიერის ერთგვარ „შესასვლელს“ და წამალდამოკიდებულების განვითარების

⁹⁹ შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 39.

რისკფაქტორს წარმოადგენს. გამოკვლევების თანახმად, ამგვარი კავშირის ხარისხი განსხვავდება თაობიდან თაობამდე და დამოკიდებულია სოციალურ კონტექსტზე“.¹⁰⁰

ისეთი მომხმარებლის მიერ, რომელმაც ადრეულ ასაკში დაიწყო მარიხუანას მოხმარება, უფრო ძლიერი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე გადასვლა გაადვილებულია, რადგან:¹⁰¹

- მარტივად ახდენს სხვა ძლიერი ნარკოტიკული საშუალების ხელმისაწვდომობას;
- გააჩნია ძლიერი სურვილი თავგადასავლებისა და ცნობისმოყვარეობის გამო გასინჯოს სხვა ნარკოტიკული საშუალებებიც (მარიხუანას მოხმარება „სხვა ნარკოტიკებით ექსპერიმენტირების მეტ შესაძლებლობას ქმნის“¹⁰²);
- მარიხუანას ფარმაკოლოგიური ეფექტი, რაც გულისხმობს მიდრეკილებას მოიხმაროს სხვა ძლიერი ნარკოტიკული საშუალებები.

2016 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ განხორციელებულმა კვლევამ დაადგინა, რომ გამოკითხულ 1 163 პრობაციონერიდან 34,4% ამბობს, რომ პირველად ნარკოტიკული საშუალება გასინჯა 10-17 წლის ასაკში. პირველად მოხმარების მოტივის გაანალიზებამ კი აჩვენა, რომ ვინც პირველად ნარკოტიკული საშუალება 10-34 წლის ასაკში მოიხმარა, მათი მოტივაცია ძირითადად იყო ცნობისმოყვარეობა და გართობა, ანუ ისინი თავგადასავლის სურვილით გამოირჩეოდნენ. სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად კი, ვინც მარიხუანას თავგადასავლების საძიებლად მოიხმარს, ის სხვა მძიმე ნარკოტიკულ საშუალებებსაც მოიხმარებს.

¹⁰⁰ ჯავახიშვილი, ჯ., ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრევენცია. ცხოვრების ჯანსაღი სტილის დამკვიდრების მიდგომა. თბილისი 2011. გვ. 24.

¹⁰¹ Hoch, E./Friemel, Ch. M./Schneider, M. (Hrsg.), Cannabis: Potenzial und Risiko. Eine wissenschaftliche Bestandsaufnahme. Berlin 2019. S. 23; იხ. ასევე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება - BVerfG 1990, 145 (150).

¹⁰² ინაბა, დ.ს./კონენი, უ.ე., ცადამყვანები, გამაზრუებლები და სხვები. ფსიქოაქტიური საშუალებების ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტები. მერვე გამოცემა. თბილისი 2017. გვ. 186.

გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ჩატარებულმა კვლევებმა დაადგინა, რომ ყოველი მე-4, მე-5 კანაბისის მომხმარებელი შემდგომ ხდება ძლიერი ნარკოტიკის: ოპიუმის, ჰეროინის, მორფინის მომხმარებელი.¹⁰³

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ერთი რამ უდავოა, მარიხუანას მომხმარებელს მძიმე ნარკოტიკისადმი შიში მოხსნილი აქვს; უჩნდება სურვილი სხვა ნარკოტიკის გასინჯვის (ექსპერიმენტის) და გამსაღებლებთან უკვე არსებული ურთიერთობების გამო მისთვის ხელმისაწვდომია სხვა მძიმე ნარკოტიკის მოპოვება.¹⁰⁴ ეს ორი ფაქტორი კი, რომელიც მარიხუანას მოხმარებიდან არის გამოწვეული უკვე არის მარიხუანადან მძიმე ნარკოტიკზე გადასვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა. შესაბამისად, მარიხუანას მომხმარებელთა ერთი (საკმაოდ სოლიდური) ნაწილისთვის მარიხუანა არის „კარიბჭის ნარკოტიკი“.

შეუძლებელია საქართველოში მცხოვრები მარიხუანას მომხმარებელი, თავისი ბიო-ფსიქო-სოციალური მდგომარეობით (კულტურული მახასიათებლები) შეადარო სხვა ქვეყნის მომხმარებელს, ვინაიდან ადამიანების კულტურული მახასიათებლები განსხვავდება ქვეყნის გეოგრაფიის, ისტორიისა და კულტურული ღირებულებების მიხედვით,¹⁰⁵ მათ შორის კლიმატით, ნათესაობის ღირებულებითი

¹⁰³ ჯანაშია, ჯ., საქართველოში ნარკომანიის გავრცელების და ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის შედარებითი ანალიზი. საქართველოს ნარკოსტრატეგიის შედარებითი ანალიზი და ნარკოდანაშაულის სფეროში საკანონმდებლო სრულყოფის საკითხები. სტატიათა კრებული. (რედ.) თოდუა, ნ./ჯანაშია, ჯ., თბილისი 2019. გვ. 18.

¹⁰⁴ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება - BVerfG 1990, 145 (150). შალიკაშვილი, მ., კრიმინოლოგია. მესამე გამოცემა. თბილისი 2017. გვ. 172; Schwind, H-D., Kriminologie. 18. Auflage. Heidelberg 2008. S. 565; ინაბა, დ.ს./კოენი, უ.ე., ცადამყვანები, გამაბრუებლები და სხვები. ფსიქოაქტიური საშუალებების ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტები. მერვე გამოცემა. თბილისი 2017. გვ. 186.

¹⁰⁵ ემბერი, ქ.რ./ემბერი, მ./პერეგრინი, პ., ანთროპოლოგია. თბილისი 2009. გვ. 23, 208, 215.

პრიორიტეტებით, მიზნის მიღწევის შესაძლებლობებით, სამუშაოსა და თავისუფალი დროის გამოყენებით.¹⁰⁶

საქართველომ ბოლო 25 წლის მანძილზე ოთხი ომი გადაიტანა. გასული საუკუნის 90-იანი წლების სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ საქართველოში მცხოვრები ადამიანის ფსიქიკა ისე დაამახინჯა და პოსტრავმული სტრესული აშლილობის მდგომარეობაში ჩააგდო,¹⁰⁷ რომ შეუძლებელია მისი შედარება სხვა ქვეყნის ადამიანთან, მით უფრო დასავლურ ევროპულთან, სადაც მარიხუანას შესახებ უახლესი კვლევები ტარდება.

იმის მიუხედავად, რომ საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს, რომ *„ყურადღებას ამახვილებს მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ბიოლოგიური ფაქტორების როლზე“*,¹⁰⁸ იგი მაინც არ უთმობს დიდ ყურადღებას 2016 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ განხორციელებულ კვლევას, რაც ვფიქრობთ, რომ სამწუხაროა.

სწორედ, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ბიოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით ვეთანხმებით 2016 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებს და ვფიქრობთ, რომ მარიხუანას მომხმარებლების დიდი ნაწილი მძიმე ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლად მოგვევლინება ახლო მომავალში. იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, თუ რა საფრთხეს შეიძლება შეიცავდეს ჩვენი ქვეყნის მოქალაქისთვის მარიხუანას მოხმარება, ან მარიხუანადან მძიმე ნარკოტიკზე გადასვლა,

¹⁰⁶ სურმანიძე, ლ., ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები. თბილისი 2001. გვ. 21.

¹⁰⁷ „პოსტრავმული სტრესული აშლილობა არის შფოთვითი აშლილობა, რომელიც ხასიათდება მატრავმირებელი მოვლენის მუდმივად განმეორებითი განცდით - შემაწუხებელი მოგონებების, სიზმრების, ჰალუცინაციების და დისოციალური „გამონათებების“ სახით; ვითარდება გაუპატიურების, სიცოცხლისათვის საშიში მოვლენების [ომების], ძლიერი დასახიჩრების, ან ბუნებრივი კატასტროფების პასუხად“. გერიგი, რ./ზიმბარდო, ფ. ფსიქოლოგია და ცხოვრება. თბილისი 2009. გვ. 799.

¹⁰⁸ შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 40.

აუცილებელია განვიხილოთ ნარკომოხმარების თეორიული საფუძვლები. ფროიდის ფსიქოანალიტიკური თეორიის თანახმად, პიროვნული სტრუქტურის დარღვევა, რომელიც გამოწვეულია ბავშვობაში მიღებული ტრავმით, რომელიც არ გახდა ფსიქოლოგიურად „დამუშავებული“, შეიძლება ნარკოდამოკიდებულება გამოიწვიოს. სწავლების ფსიქოლოგიური თეორიის თანახმად, ნარკოდამოკიდებულება შესაძლებელია განპირობებული იყოს სოციალური სტატუსის მოპოვებით. საზოგადოებრივი კრიზისის თეორიის თანახმად, საზოგადოებაში აღიარებული მიზნების მიუღწევლობა არასაკმარისი განათლების, თუ უნარ-ჩვევების გამო იწვევს ნარკოდამოკიდებულებას, ვინაიდან ადამიანი ალკოჰოლით ან ნარკოტიკით ახდენს საკუთარ პრობლემებზე რეაგირებას.¹⁰⁹

ჩვენ მიერ მოყვანილი სამივე თეორიის ანალიზი ქართულ რეალობასთან მიმართებაში (ოთხი ომის და 90-იანი წლების მძიმე შედეგები მოსახლეობის ფსიქიკაზე; შრომითი უნარ-ჩვევების არმქონე მოზარდების სურვილი სოციალური სტატუსის მოპოვებისათვის; სოციალური სიდუხჭირის გამო საზოგადოებაში დამკვიდრებული ღირებულებების მიუწვდომლობა) გვაფიქრებინებს, რომ მარიხუანაზე ან მძიმე ნარკოტიკზე დამოკიდებულება ერთ-ერთ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მარიხუანას საკითხთან მიღებულ არცერთ გადაწყვეტილებაში არ არის საუბარი ქვეყნის და უპირველეს ყოვლისა (მარიხუანას მოხმარებისადმი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის) ახალგაზრდა თაობის სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და ბიოლოგიურ ფაქტორებზე. ამ ფაქტორებზე მსჯელობა და მათი გათვალისწინება სასამართლოს უნდა მოეხდინა საქართველოში ჩატარებული კონკრეტული კვლევების შედეგების ანალიზზე. მაგ. დასაქმების, კულტურული ღირებულებების, სოციალური მდგომარეობის, თავისუფალი დროის გატარების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის ანალიზისა და მათი გათვალისწინების საფუძველზე. სამწუხაროდ, სასამართლოს საქართველოში ჩატარებული არც ერთი

¹⁰⁹ ვრცლად იხ.: შალიკაშვილი, მ., კრიმინოლოგია. მესამე გამოცემა. თბილისი 2017. გვ. 170-171.

კვლევა არ გაუანალიზებია (ყოველ შემთხვევაში გადაწყვეტილებებიდან ეს არ ჩანს).

დ. მარიხუანას მოხმარება და ავტოსაგზაო შემთხვევები

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც შეიძლება მარიხუანას მოხმარებამ გამოიწვიოს არის ავტოსაგზაო შემთხვევების ზრდა. საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა ექსპერტად მოწვეული ბექა ძამაშვილის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ „გაეროს მონაცემებით, მარიხუანის მოხმარება 10-ჯერ ზრდის ავტოავარიების რისკს და ეს რისკი კიდევ უფრო მაღალია, თუ მარიხუანის მოხმარება ხდება ალკოჰოლთან კომბინაციაში“ და აღნიშნა, რომ „მოწმეებმა ვერ დაადასტურეს მარიხუანის მოხმარებასა და ამ (მით უფრო, სხვა) დანაშაულის ჩადენას/ზრდას შორის კავშირის გარდაუვალი არსებობა“.¹¹⁰

იმისათვის, რომ სასამართლო დარწმუნდეს მარიხუანას მოხმარებასა და ავტოსაგზაო შემთხვევების „გარდაუვალ კავშირში“ აუცილებელია კონკრეტული კვლევა, რომელიც საქართველოში სამწუხაროდ არ არსებობს. არსებობს აშშ-ში და საფრანგეთში ჩატარებული კვლევები, რომლებიც ადასტურებს, რომ ავარიაში მონაწილე მძღოლთა დაახლოებით 10% მარიხუანას ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.¹¹¹

„ყოველწლიურად, ნორვეგიის პოლიცია დაახლოებით, 10 000 მძღოლს აკავებს ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის ქვეშ მანქანის მართვის ექვის საფუძველზე. ნორვეგიის საზოგადოებრივი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიხედვით, მათგან დაახლოებით, ნახევარი ექვმიტანილია ალკოჰოლური თრობის ქვეშ ავტომობილის მართვაში, ხოლო მეორე ნახევარი – ავტომობილის მართვაში ნარკოტიკული და/ან

¹¹⁰ წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 86,87.

¹¹¹ ინაბა, დ.ს./კოენი, უ.ე., ცადამყვანები, გამაზრუებლები და სხვები. ფსიქოაქტიური საშუალებების ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტები. მერვე გამოცემა. თბილისი 2017. გვ. 189.

სხვა მედიკამენტის მოქმედების ქვეშ, რაც ასუსტებს მათი მართვის უნარს“.¹¹²

კვლევების გარეშე შესაძლებელია ამ საკითხის ლოგიკური გააზრებაც საქართველოში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. ფაქტებზე დაფუძნებული ლოგიკური მსჯელობა კი არის გონივრული დასკვნის გაკეთების ერთ-ერთი გზა.¹¹³ ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ მარიხუანას მოხმარება იწვევს ფიზიკური კოორდინაციის დაკარგვას და ჰალუცინაციებს¹¹⁴ (რასაც თავად საკონსტიტუციო სასამართლოც არ უარყოფს¹¹⁵), საკმარისი საფუძველია ვივარაუდოთ, რომ მარიხუანის მიღებით გამოწვეული „კაიფის“ დროს იზრდება ავტოსაგზაო ავარიის ალბათობა; როგორც ალკოჰოლი, ასევე კანაფის პროდუქტები „აქვეითებს ადამიანის შეგრძნებებს და ასუსტებს მათი ყურადღებისა და რეაგირების უნარს“.¹¹⁶ ალკოჰოლთან ერთად მათრობელა საშუალებების მოხმარება კიდევ უფრო ზრდის საგზაო შემთხვევების რისკს.¹¹⁷ ფაქტია, რომ დღეის მონაცემებით მინიმუმ 300-350 ათასი მარიხუანას მომხმარებელია ქვეყანაში, ფაქტია, რომ მარიხუანა იწვევს „ეიფორიას და სივრცისა და დროის აღქმის დარღვევას“¹¹⁸, ფაქტია, რომ - ქვეყანაში 1 183 892 ავტომობილია რეგისტრირებული (2017 წლის მონაცემებით)¹¹⁹, ფაქტია, რომ 2018 წელს 40 000 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა საქართველოში, რომლის შედეგადაც 9 047 ადამიანი დაშავდა და 459 გარდაიცვალა, 2017 წელს, ასევე, დაახლოებით 40 000 ავტოავარიას 8 641 დაშავებისა და 517 გარდაცვალების ფაქტი მოჰყვა.¹²⁰

¹¹² ბიორგო, ტ., დანაშაულის პრევენცია. ყოვლისმომცველი მიდგომა. თბილისი 2019. გვ. 225.

¹¹³ თურიაბინი, ქ., სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის. თბილისი 2007. გვ. 75.

¹¹⁴ წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 77.

¹¹⁵ შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 31.

¹¹⁶ ბიორგო, ტ., დანაშაულის პრევენცია. ყოვლისმომცველი მიდგომა. თბილისი 2019. გვ. 226.

¹¹⁷ იქვე.

¹¹⁸ გერიგი, რ./ზიმზარდო, ფ. ფსიქოლოგია და ცხოვრება. თბილისი 2009. გვ. 217.

¹¹⁹ www.police.ge [15.03.2019].

¹²⁰ www.police.ge [15.03.2019].

იმის მიუხედავად, რომ ქვეყანაში არ არსებობს კვლევა, რომელიც დაადგენდა მარიხუანას მოხმარებასა და ავტოავარიებს შორის „გარდაუვალ კავშირს“, ზემოაღნიშნულის შესაბამისად, შეგვიძლია ლოგიკური კავშირების გავლება იმასთან მიმართებაში, რომ თუ ქვეყანაში მინიმუმ 300 000 მარიხუანას მომხმარებელია, რომელიც მარიხუანას მოხმარებით გაბრუებული მართავს ავტომობილს და მართვის დროს დაკარგული აქვს ფიზიკური კოორდინაცია, სივრცისა და დროის აღქმა და ჰალუცინაციების ქვეშ იმყოფება, დიდია ავტოსაგზაო შემთხვევების მოხდენის ალბათობა.

„კვლევაში, რომელიც მარიხუანას მწვევლებს იკვლევდა, ტესტირებულთა 60-მა პროცენტმა ვერ გაიარა საგზაო სიფხიზლის ტესტი მარიხუანას საშუალო რაოდენობით მოხმარებიდან 2.5 საათში; სხვა ტესტებმა უნარების გარკვეული სახის შეზღუდვა გამოავლინა მოხმარებიდან 3-7 საათის შემდეგ; მინიმალური ზემოქმედება გამოვლინდა 8 საათის გასვლის შემდეგ“.¹²¹

კანადელმა მეცნიერებმა 50 000 მძიმე ხასიათის ავტოსაგზაო შემთხვევები შეისწავლეს და დაასკვნეს, რომ მარიხუანას ერთი სიგარეტის მოხმარებიდან სამი საათის შემდეგაც კი შეუძლებელია ავტომობილის მართვა, ვინაიდან მარიხუანას მოხმარება პირდაპირ ზემოქმედებს ადამიანის კოგნიტურ და მოტორულ უნარებზე, მოწვევიდან თუნდაც რამდენიმე საათის შემდეგ.¹²²

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო პირდაპირ ამბობს: „უდავოა, რომ მარიხუანით გამოწვეული თრობა უარყოფითად მოქმედებს ავტომობილის მართვაზე“.¹²³

¹²¹ ინაბა, დ.ს./კონი, უ.ე., ცადამყვანები, გამაბრუებლები და სხვები. ფსიქოაქტიური საშუალებების ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტები. მერვე გამოცემა. თბილისი 2017. გვ. 189.

¹²² შალიკაშვილი, მ., ახალი ნარკოპოლიტიკა: საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კრიმინოლოგიური შეფასება. საქართველოს ნარკოსტრატეგიის შედარებითი ანალიზი და ნარკოდანაშაულის სფეროში საკანონმდებლო სრულყოფის საკითხები. სტატიათა კრებული. (რედ.) თოდუა, ნ./ჯანაშია, ჯ., თბილისი 2019. გვ. 49.

¹²³ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილება - BVerfG 1990, 145 (151).

აქვე გასათვალისწინებელია, რომ ალკოჰოლის მომხმარებელთა 65% მარიხუანასაც მოიხმარს.¹²⁴ ამ ორი ნივთიერების ერთდროულად მოხმარება კი ძალიან ხშირად ფატალურ შედეგებს იწვევს.¹²⁵ ეს კი, კიდევ უფრო ართულებს ჩვენ ქვეყანაში მარიხუანასა და ავტოსაგზაო შემთხვევების საკითხს, ვინაიდან საქართველოში ალკოჰოლიც საკმაოდ დიდი რაოდენობით და ხშირად მოიხმარება, რასაც კვლევებიც ადასტურებს. კერძოდ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის 2016 წლის კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ალკოჰოლის მოხმარება გავრცელებულია გამოკითხული 14-29 წლის ახალგაზრდების 70%-ში.¹²⁶ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ 2009 წელს ჩატარებული სასკოლო გამოკითხვამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის საჯარო და კერძო სკოლების 469 თექვსმეტი წლის მოსწავლემ, აჩვენა, რომ 50% გამოკითხულ მოსწავლეს ერთხელ მაინც ჰქონდა მიღებული ალკოჰოლის ინტოქსიკაცია (მოწამვლა).¹²⁷ 2015 წელს 16 წლის მოზარდების გამოკითხვამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 85 პროცენტს ცხოვრებაში ერთხელ მაინც ჰქონდა ალკოჰოლი მოხმარებული, ხოლო 43%-ს უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში.¹²⁸

შუალედური დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მარიხუანას მოხმარება, მით უფრო ალკოჰოლის და მარიხუანას კომბინაცია მძიმე შედეგებს იწვევს ადამიანში, რაც ზრდის ავტოკატასტროფების ალბათობას. ეს ალბათობა მით უფრო იზრდება თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში ნარკო და ალკოჰოლმომხმარებელთა და ავტომობილთა რაოდენობას.

¹²⁴ ინაზა, დ.ს./კოენი, უ.ე., ცადამყვანები, გამაბრუებლები და სხვები. ფსიქოაქტიური საშუალებების ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტები. მერვე გამოცემა. თბილისი 2017. გვ. 189.

¹²⁵ იგივე, გვ. 188.

¹²⁶ ფრიდრიხ ებერტის ფონდი. თაობა გარდამავალ პერიოდში. ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო. თბილისი 2017. გვ. 190. იხ.: <http://www.fes-caucasus.org>. [10.03.2019].

¹²⁷ ჯავახიშვილი, ჯ., ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრევენცია. ცხოვრების ჯანსაღი სტილის დამკვიდრების მიდგომა. თბილისი 2011. გვ. 29, 30.

¹²⁸ იხ. ნარკოვიტარება საქართველოში. 2015 წლის ანგარიში. გვ. 5.

3.3.3. შრომისუნარიანობის დაქვეითება როგორც

თავისუფალი განვითარების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი

საკითხავია, რამდენად არის შესაძლებელი პიროვნების თავისუფალი განვითარება, თუ მარიხუანას მოხმარება იწვევს შრომისუნარიანობის დაქვეითებას. საკონსტიტუციო სასამართლო ამბობს, „*ამრიგად, მარიხუანის მოხმარების ისეთი შესაძლო შედეგები, როგორცაა შრომისუნარიანობის დაქვეითება, აპათია და ჩაკეტილობა არ წარმოადგენს თავისუფალი განვითარების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებს*“.¹²⁹

სასამართლო აშკარად არ მიიჩნევს მნიშვნელოვან ღირებულებად ადამიანის შრომისუნარიანობის საკითხს, შრომისადმი პატივისცემას. შრომისუნარიანობა დაქვეითებული მოქალაქე დიდი ალბათობით უმუშევარი გახდება და დარჩება მთელი ცხოვრების მანძილზე, რაც, ვფიქრობთ, მეტად მძიმე ტვირთია სახელმწიფოსთვის. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა გავიგოთ რას იწვევს (გრძელვადიანი) უმუშევრობა. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „უმუშევრობა ადამიანებს ხშირად უქმნის საარსებო კრიზისს. ეკონომიკური პირობების დაკარგვით შესაძლოა, დაქვეითდეს ადამიანის თვითშეფასების უნარი და ზიანი მიადგეს მის პიროვნებას. იმის განცდამ, რომ ადამიანი აღარ არის საჭირო და თანაც ისეთ საზოგადოებაში, სადაც *ცალკეული პიროვნების ფასი, უმეტესწილად, დამოკიდებულია მის პროფესიულ საქმიანობაზე, შესაძლოა, იგი მიიყვანოს სულიერ ტრავმამდე*. ყოველივე განსაკუთრებით მძაფრდება გრძელვადიანი უმუშევრობის შემთხვევაში, როდესაც დასაქმებაც განსაკუთრებულად რთულია და აქედან გამომდინარე, ნაკლები შანსი აქვთ მიიღონ სამუშაო ადგილი“.¹³⁰

თუ მარიხუანას მოხმარება იწვევს შრომისუნარიანობის დაქვეითებას, რაც მომხმარებლის უმუშევრობას გამოიწვევს, ხოლო უმუშევრობა კი - თავის მხრივ ეკონომიკურ პრობლემებთან და სულიერ ტრავმასთან არის

¹²⁹ შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 55.

¹³⁰ შვაბე, ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი 2011. გვ. 316.

დაკავშირებული, მაშინ მარიხუანას მოხმარება ვერ იქნება პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშემწყობი. ის არის პიროვნებისათვის ზიანის მომტანი.

თუ გავითვალისწინებთ მოზარდთა ცალკეული ნაწილის უპერსპექტივობას¹³¹ ქვეყანაში (არასაკმარისი ან ხელმიუწვდომელი სპორტული, კულტურული, გასართობი აქტივობები, პროფესიული განათლების სისტემის თითქმის არ არსებობა, მაღალი უმუშევრობა ან ძალიან ცუდი ანაზღაურება¹³²)¹³³, პოლიტიკური ჩართულობისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას¹³⁴ და მარიხუანას ხელმისაწვდომობას, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოზარდების ეს კატეგორია სისტემატიურად მიიღებს მარიხუანას, გახდება შრომისუუნარო და შესაბამისად, გრძელვადიანად უმუშევარი, სოციალურად დაუცველი და სულიერი ტრავმის მქონე.

¹³¹ ფრიდრიხ ებერტის ფონდის 2016 წლის კვლევა აჩვენებს „ახალგაზრდებს შორის მიგრაციის ძლიერ სურვილს. ზოგადად, ყოველი მეორე რესპონდენტი (59%) აცხადებს, რომ არ აქვს განზრახული ქვეყნის დატოვება. ყოველი მეხუთეს (21%) განცხადებით, მას ქვეყნის დატოვების ძლიერ სურვილი აქვს და თითქმის იგივე რაოდენობას (19%) მეტნაკლებად სურს საქართველოს დატოვება“. მიგრაციის ძირითად მოტივატორ ფაქტორებად სახელდება ცხოვრების უკეთესი სტანდარტი (38%), რასაც მოჰყვება განათლებისა (17%) და დასაქმების (13%) უკეთესი შესაძლებლობები“. ფრიდრიხ ებერტის ფონდი. თაობა გარდამავალ პერიოდში. ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო. თბილისი 2017. გვ. 99, 100. იხ.: <http://www.fes-caucasus.org>. [10.03.2019].

¹³² ახალგაზრდების ერთი ნაწილი დასაქმებულია კერძო სექტორში, სადაც ანაზღაურება 300-400 ლარია.

¹³³ იმ ახალგაზრდების (15-24 წლის) პროპორციული ოდენობა, რომლებიც არ მუშაობენ, არ სწავლობენ ან არ გადიან პროფესიულ მომზადებას 2014 წლის მონაცემებით შეადგენს 32.4%-ს. იხ. საქართველოს ახალგაზრდული სახელმწიფო პოლიტიკა საბაზისო კვლევის შედეგები 25-26 ოქტომბერი, 2017. ახალგაზრდობის და სპორტის საკითხთა ეროვნული კონსულტანტი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტი „საპარლამენტო დემოკრატიის სისტემის გაძლიერება საქართველოში“. ავტორი ანატოლი კორეპანოვი.

¹³⁴ ფრიდრიხ ებერტის ფონდი. თაობა გარდამავალ პერიოდში. ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო. თბილისი 2017. გვ. 9. იხ.: <http://www.fes-caucasus.org>. [10.03.2019].

თუ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო 1990 წლის გადაწყვეტილებაში მარიხუანას მოხმარებას თავისუფალი განვითარების ჭრილში იხილავს და ამბობს, რომ არსებობს ე.წ. „დაბოლების უფლება“ – „Recht auf Rausch“.¹³⁵ გერმანელი მოსამართლე ამ საკითხის განხილვის დროს ითვალისწინებს გერმანიაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და მან იცის, რომ სახელმწიფოს ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული სისტემა აქვს როგორც პროფესიული განათლების, თავისუფალი დროის გატარების ალტერნატიული საშუალებების, სხვადასხვა მოყვარულთა ასოციაციებში (მათ შორის სპორტული) გაერთიანების, ასევე უმუშევრობის დაძლევის და სოციალური დახმარების. გერმანელ მოზარდს/მოქალაქეს ბევრი შესაძლებლობა აქვს პიროვნული განვითარების და მარიხუანას მოხმარება პიროვნული განვითარების სხვა ბევრ ღონისძიებებს შორის ერთ-ერთია, როგორც ალკოჰოლი. გარდა ამისა გერმანიაში მოზარდების სპორტულ აქტივობებში ჩართვა ხდება ბავშვობიდან, სკოლაში, ისე რომ სპორტი და ჯანსაღი ცხოვრების წესი, მისი ცხოვრების შემადგენელ ნაწილად არის ქცეული ცხოვრების ბოლომდე.

საქართველოში მცხოვრები მოზარდების ერთ (საკმაოდ დიდ) ნაწილს თითქმის არ აქვს შესაძლებლობა პიროვნული განვითარების შესაბამის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების, ასეთის არ არსებობის ან ხელმიუწვდომლობის გამო. თავისუფალი დროის გატარება ბევრ მოზარდს ქუჩაში ან სახლში ინტერნეტთან უხდება.¹³⁶ დედაქალაქ თბილისში არ არსებობს საკმარისი რაოდენობის მწვანე საფარი ან

¹³⁵ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება - BVerfG 1990, 145 (121).

იხ. ასევე მ. ტურავას განსხვავებული აზრი საქმეზე წიქარიშვილი საქართველოს წინააღმდეგ.

¹³⁶ ფრიდრიხ ებერტის ფონდის 2016 წლის კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდების ძირითადი აქტივობები თავისუფალი დროის გატარებისას არის მუსიკის მოსმენა, ფილმის/ტელევიზორის ყურება და მეგობრებთან ერთად ყოფნა. ახალგაზრდების თავისუფალი დროის დიდი ნაწილი იხარჯება ინტერნეტზე და ძირითადად სოციალურ ქსელებზე. ფრიდრიხ ებერტის ფონდი. თაობა გარდამავალ პერიოდში. ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო. თბილისი 2017. გვ. 8, 188. იხ.: <http://www.fes-caucasus.org>. [10.03.2019].

სპორტული მოედნები, სადაც მოზარდები სპორტული აქტივობებით იქნებიან დაკავებული.

მოზარდს რეალურად თავისუფალი დროის გატარების ერთადერთ საშუალებად მარიხუანას მოხმარება რჩება (ალკოჰოლის მიღებასთან ერთად). ასეთ ვითარებაში ალბათობა მარიხუანას სისტემატური მიღების, შრომისუნარიანობის დაქვეითების, უმუშევრობისა და სოციალურად დაუცველობის ძალიან დიდია.

3.3.4. მოხმარება როგორც უკანონო ბრუნვის საფუძველი

საკითხავია, ხომ არ გამოიწვევს მარიხუანას მოხმარება მის გასაღებას. ამ საკითხზე ნაშრომში იყო უკვე საუბარი. აქ საუბარი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს შანიძის გადაწყვეტილების ერთ კონკრეტულ მსჯელობაზე, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს, რომ „მიუხედავად იმისა, რომ ყველა მომხმარებლის (ერთად აღებული) მიერ მარიხუანის მოხმარების ფაქტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვაზე, როგორც წესი, მარიხუანის ინდივიდუალური მომხმარებლის როლი ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის ხელშეწყობის პროცესში არის ძალიან მცირე, თითქმის უმნიშვნელო“.¹³⁷

ეს წინადადება ძალიან საინტერესო და წინააღმდეგობრივია. ერთის მხრივ სასამართლო აღიარებს, რომ მომხმარებლებმა ერთად აღებულმა მარიხუანას უკანონო ბრუნვაზე გავლენა უნდა მოახდინოსო, მაგრამ მეორეს მხრივ უარყოფს ერთეული მომხმარებლების როლს უკანონო ბრუნვის საკითხში.

დავუშვათ, რომ სასამართლო მარიხუანას „ინდივიდუალური მომხმარებლის როლზე“ საუბრობს. ამ შემთხვევაში მას (სასამართლოს) მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ მოსარჩელე - გივი შანიძე. ანუ გამოდის, რომ სასამართლოს მხოლოდ გივი შანიძისთვის მიუცია უფლება მოიხმაროს მარიხუანა რეკრეაციული მიზნებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სხვებიც მოიხმარენ მარიხუანას, მაშინ ხელი შეეწყობა მარიხუანას უკანონო ბრუნვას, რაც

¹³⁷ შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 52.

სასამართლოსთვისაც მიუღებელია. სასამართლომ, რა თქმა უნდა, იცის, რომ მისი გადაწყვეტილება მხოლოდ გივი შანიძეს არ ეხება და იგი ეხება ყველა იმ პირს ვინც მარიხუანას მოიხმარს. შესაბამისად, სასამართლო უშვებს მომავალში მარიხუანას უკანონო ბრუნვის წარმოქმნის შესაძლებლობას.

სასამართლოს ლოგიკით გამოდის, რომ ერთი მომხმარებელი არ ქმნის მთლიან ნარკომომხმარებელთა ერთიან ჯგუფს, რომელსაც შეუძლია ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვაზე გავლენა მოახდინოს. ერთი არის სიმრავლეში შემავალი ერთეული და ამ ერთეულების ჯამით იქმნება სიმრავლე.

საინტერესოა, რამდენი ერთეული მომხმარებელია საჭირო იმისთვის, რომ მარიხუანას უკანონო ბრუნვას ჰქონდეს ადგილი? ერთი, ორი, ასი, თუ ათი ათასი?

მარიხუანას მომხმარებლის რაოდენობის ზუსტი მონაცემები ქვეყანაში არ გაგვაჩნია. ეს ქმედება ხშირად ჩაკეტილ ჯგუფებში ხორციელდება, რითაც მისი ლატენტურობა მაღალია. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2015 წელს 10 000 სულ მოსახლეზე მარიხუანას ადამიანთა 21,2 პროცენტი მოიხმარდა, რაც 4 მილიონ მოსახლეზე დაახლოებით (ყველაზე მინიმუმ) 8 000 მოქალაქეს ნიშნავს.

დაახლოებით მსგავსი მონაცემები დააფიქსირა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ 2016 წელს ჩატარებულმა გამოკითხვამ. გამოკითხული 14-29 წლამდე 1 200 ახალგაზრდიდან 8 პროცენტმა (96-მა გამოკითხულმა) განაცხადა, რომ მარიხუანა იშვიათად მოუხმარებია.¹³⁸

ევროპის ქვეყნებში მარიხუანას მოხმარება ქვეყნების მიხედვით სხვადასხვაა. მაგალითად, საფრანგეთში ქვეყნის მოსახლეობის 41%-ს, ხოლო მალტაში 5%-ს მარიხუანა მოუწევია.¹³⁹ საქართველოს შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია. თუმცა ერთი რამ ფაქტია, 2015 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს წიქარიშვილის

¹³⁸ ფრიდრიხ ებერტის ფონდი. თაობა გარდამავალ პერიოდში. ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო. თბილისი 2017. გვ. 9.

იხ.: <http://www.fes-caucasus.org>. [10.03.2019].

¹³⁹ Europäische Beobachtungsstelle für Drogen und Drogensucht (2018), Europäischer Drogenbericht 2018: Trends und Entwicklungen, Amt für Veröffentlichungen der Europäischen Union, Luxemburg. S. 41.

გადაწყვეტილების შემდეგ საგრძნობლად იმატა მარიხუანას მომხმარებელთა რაოდენობამ. ივარაუდება, რომ მარიხუანას მომხმარებელთა რაოდენობა 300-350 ათასია (ქვეყნის მოსახლეობის 8-10%).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იქ, სადაც არის მოთხოვნა უსათუოდ ჩნდება მიწოდება. „მოთხოვნა და მიწოდება წარმოადგენს ინდივიდების, ფირმების და საოჯახო მეურნეობების რაციონალური ეკონომიკური მოქმედების შედეგს“.¹⁴⁰ მოთხოვნა და მიწოდება საბაზრო მექანიზმის ურთიერთდაკავშირებული ელემენტებია. ნარკოტიკების ბრუნვის წესების დარღვევა ქვეყანას საფრთხეს უქმნის ნარკოტიკების გავრცელების თვალსაზრისით.¹⁴¹

თუ იარსებებს მოსახლეობაში მარიხუანას მოთხოვნა, აუცილებლად გაჩნდება მისი უკანონო ბრუნვა, მიწოდება მომხმარებლების ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

დავუშვათ, რომ დღეის მდგომარეობით მარიხუანას საქართველოში სულ მცირე 300 000 ადამიანი მოიხმარს. დავუშვათ ასევე, რომ აქედან მხოლოდ 10 000 (3,3%) არის შემძენი, ხოლო 200 ათასი თავად ახდენს მარიხუანას კულტივაციას და მოხმარებას. შესაბამისად, მარიხუანას მომხმარებელთა ეს რაოდენობა (10 000) სრულიად საკმარისია მარიხუანას უკანონო ბრუნვის შექმნისა და განხორციელებისათვის. თუ ერთი გრამი მარიხუანა ყველაზე მინიმუმ 60 ლარი ღირს და ეს არის მომხმარებლის ერთი კვირის ნორმა. ერთ თვეში ერთი მომხმარებელი ოთხ გრამს, ანუ 240 ლარის მარიხუანას მოიხმარს. 10 000 მომხმარებელი ერთ თვეში დაახლოებით 2 400 000 ლარის მარიხუანას მოიხმარს, რაც ერთ წელში ყველაზე მინიმუმ 30 მილიონი ლარია.¹⁴²

¹⁴⁰ მექვაბიშვილი, ე., თანამედროვე ეკონომიკური თეორიები (ლექციების კურსი). თბილისი 2016. გვ. 89.

¹⁴¹ თოდუა, ნ., ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში. საქართველოს ნარკოსტრატეგიის შედარებითი ანალიზი და ნარკოდანაშაულის სფეროში საკანონმდებლო სრულყოფის საკითხები. სტატიათა კრებული. (რედ.) თოდუა, ნ./ჯანაშია, ჯ., თბილისი 2019. გვ. 9.

¹⁴² „შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამინისტრომ, სისხლის სამართლის 737 საქმეზე სხვადასხვა დროს ნივთმტკიცებად ამოღებული ნარკოტიკული

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საკონსტიტუციო სასამართლო ამბობს მარიხუანა მოიხმარება რეკრეაციული მიზნით. მარიხუანას „გართობისა და რეკრეაციული“¹⁴³ მიზნით მოიხმარება ნიშნავს ჯგუფურად მის მოხმარებას. მოზარდები ხშირად თანატოლთა სხვადასხვა ერთობლივი სოციალური აქტივობის პროცესში მოიხმარენ მარიხუანას.¹⁴⁴ ერთი პირის მიერ მარიხუანას მოხმარება ხდება მხოლოდ გამონაკლისის სახით. შესაბამისად, ასეთი ჯგუფების (ან თუნდაც ერთეულების) მიერ მარიხუანას მოხმარება უფრო ზრდის მომხმარებელთა რაოდენობას და ხელს უწყობს მარიხუანას უკანონო ბრუნვას (ჯგუფში რაც უფრო მეტია მომხმარებელი, მით უფრო ბევრი შესაძლებლობა არსებობს მისი მოპოვების, შესაბამისად, შეძენა-გასაღების).

„გართობისა და რეკრეაციული“ მიზნით მარიხუანას მოხმარება გზას უხსნის ფსიქიკურად არამდგრად პირებს და გარდატეხის ასაკში მყოფ მოზარდებს, რომლებსაც აქამდე არ გაუსინჯავთ მარიხუანა, მოიხმარონ იგი.¹⁴⁵

2018 წლის ევროპის ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ცენტრის ანგარიშის მიხედვით, ევროპის კავშირში ნარკოტიკული საშუალებების არალეგალური ბაზარი 2013 წელს 24 მილიარდ ევროს შეადგენდა. ამ თანხის 38% (დაახლოებით 9,3 მილიარდი ევრო) მოდიოდა მარიხუანაზე, 28% ჰეროინზე, ხოლო 24% კოკაინზე.¹⁴⁶

საშუალებები, რომელთა ღირებულება ე.წ. „შავ ბაზარზე“, ჯამში დაახლოებით 55 მილიონი ლარია, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გაანადგურა“. <https://batumelebi.netgazeti.ge/news/207910/> [02.06.2019]

¹⁴³ შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 57.

¹⁴⁴ ჯავახიშვილი, ჯ., ნარკოტიკების ავადმოხმარების პრევენცია. ცხოვრების ჯანსაღი სტილის დამკვიდრების მიდგომა. თბილისი 2011. გვ. 36.

¹⁴⁵ იხ.: გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება - BVerfG 1990, 145 (161).

¹⁴⁶ Europäische Beobachtungsstelle für Drogen und Drogensucht (2018), Europäischer Drogenbericht 2018: Trends und Entwicklungen, Amt für Veröffentlichungen der Europäischen Union, Luxemburg. S. 20.

და ბოლოს, საკონსტიტუციო სასამართლოს ეს ჩანაწერი ძალზედ საინტერესოა, ვინაიდან მსგავს ფორმულირებას ვკითხულობთ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს „Cannabis“ გადაწყვეტილებაში.¹⁴⁷ კერძოდ, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ამბობს, რომ ერთი, ინდივიდუალური მომხმარებლის მიერ მარიხუანის მოხმარების ფაქტი მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვაზე, თუმცა ეს არის მომხმარებელი, რომელიც ძალიან იშვიათად მოიხმარს მარიხუანას, წელიწადში მაქსიმუმ 5-ჯერ. ანუ, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ისეთი ინდივიდუალური მომხმარებლის მიერ ნარკოტიკის უკანონო ბრუნვაზე ზეგავლენის მოხდენის შეუძლებლობაზე საუბრობს, რომელიც წელიწადში 5-ჯერ მოიხმარს მარიხუანას.

სამწუხაროდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში სწორედ იმ ასპექტზე არ არის ყურადღება გამახვილებული, რომ იშვიათად მარიხუანას მოხმარება (მაგ.: წელიწადში 5-ჯერ) არ გააჩენს უკანონო ბრუნვის ბაზარს (როგორც ამას ადგილი აქვს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში). ნარკოტიკის იშვიათად მოხმარება შავ ბაზარს იმიტომ არ აჩენს, რომ გამსაღებელს აღარ უღირს საფრთხეში ჩაიგდოს თავი იმ სარგებლისთვის, რაც იშვიათი მოხმარებიდან შეიძლება მიიღოს.

ნათელია, რომ ნარკოტიკული საშუალების არაიშვიათი ხასიათის ინდივიდუალური მომხმარებელი ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვას ხელს უწყობს და მის არსებობაზე დიდ ზეგავლენას ახდენს.

4. ზიანის შემცირების პრევენციული ღონისძიებები

„ზიანის შემცირება პრევენციული სტრატეგია, რომელიც ადამიანების აღდგენა-გამოჯანმრთელების პროცესში ჩართვის და შენარჩუნების

¹⁴⁷ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება - BVerfG 1990, 145 (164).

სირთულეს უდგება ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული სოციალური და პირადი პრობლემების მინიმუმამდე დაყვანის ტექნიკებით, და არ ისახავს თავშეკავებას პირველად მიზნად¹⁴⁸.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ „პრევენციული პროგრამები არსებობდეს მთელი ცხოვრების მანძილზე, რადგან თითოეულ ასაკობრივ ჯგუფს თავისი საჭიროებები აქვს. პრევენციული პროგრამები უნდა იყოს: კულტურაზე და ასაკზე მორგებული, ხატოვანი, არა-განსჯითი და არა-ჭკუის სასწავლებელი, ზუსტი და გულწრფელი, გულუხვად დაფინანსებული და მხარდაჭერილი“¹⁴⁹.

ყველა ზემოაღნიშნულ ღონისძიებას სჭირდება საჭირო პერსონალი და ფინანსური მხარდაჭერა. ზიანის შემცირების მეთოდების გამოყენების პირველი პრობლემა საქართველოში სწორედ ფინანსები და არასაკმარისი პერსონალია.

იმისათვის, რომ ნარკომომხმარებელების ზიანის შემცირების პროგრამები დაიგეგმოს, პირველ რიგში, უნდა გვექონდეს ინფორმაცია თავად ნარკომომხმარებელების ზუსტი რაოდენობის, მათ მიერ მოხმარებული ნარკოტიკული საშუალებების, ნარკომომხმარების გამომწვევი მიზეზების, ნარკომომხმარებელთა წინაშე არსებული გამოწვევების, ამ სფეროში დასაქმებული კადრების რაოდენობისა და მათი პროფესიონალიზმის შესახებ. როგორც ვხედავთ ნარკომომხმარების ზიანის შემცირების შესახებ ღონისძიებები კომპლექსურია და საჭიროებს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივ მობილიზებას.

„ზიანის შემცირების ღონისძიებები გულისხმობს შემდეგ მიმართულებებს: ე.წ. შპრიცების გაცვლის პროგრამები, რაც ნარკომანიით დაავადებულთა შორის საინექციო ხელსაწყოების უფასო დარიგებას და მათგან ნახმარი შპრიცების აგროვება-განადგურებას გულისხმობს; აივ-სა თუ ჰეპატიტებზე ნებაყოფლობითი ტესტირება-კონსულტირება, დაინფიცირების შემთხვევაში დროული გამოვლენისა და დახმარების მიზნით, ხოლო დაავადების არქონის შემთხვევაში -

¹⁴⁸ ინაბა, დ.ს./კონი, უ.ე., ცადამყვანები, გამაბრუებლები და სხვები. ფსიქოაქტიური საშუალებების ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტები. მერვე გამოცემა. თბილისი 2017. გვ. 255.

¹⁴⁹ იგივე, გვ. 259.

ვირუსის გადაცემის თვალსაზრისით სარისკო ქცევების განხორციელების ალბათობის შემცირებისა და შესაბამისად, პრევენციის მიზნით; ჩანაცვლებითი თერაპია, მაგალითად, მეთადონის პროგრამა, რომლის პაციენტებს რეგულარულად აძლევენ პრეპარატ მეთადონს, ინდივიდუალურად შერჩეული იმ სახით, რაც არ იწვევს ნარკოტიკულ თრობას და ამავე დროს, იცავს მათ აღკვეთის სინდრომის (ლომკის) განვითარებისაგან. ეს ადამიანს აძლევს სიმბოლურ „ყავარჯენს“, რომელიც ეხმარება დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებაში. მეთადონით მიღწეული სიფხიზლე ადამიანმა საკუთარი ცხოვრების წესის კონსტრუქციული ცვლილებისათვის უნდა გამოიყენოს“.¹⁵⁰

ზიანის შემცირების ღონისძიებების განხორციელების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ნარკოვიტარების შესახებ არსებულ 2015 წლის ანგარიშში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ანგარიში არ არის ინფორმაციული: მაგ. ანგარიშიდან არ ჩანს ნარკომომხმარებელთა რაოდენობა საქართველოში, ქვეყანაში მკურნალობაში ჩართულ ნარკომომხმარებელთა რაოდენობა, პერსონალის რაოდენობა, გამოყოფილი თანხა და ა.შ.

საქართველოში ნარკოვიტარების შესახებ 2015 წლის ანგარიშის მიხედვით ინექციური ნარკომომხმარებელი 2014 წელს იყო 49 700 ადამიანი. ამავე პერიოდში მხოლოდ დაახლოებით 3 000 ადამიანი გადიოდა მკურნალობას.¹⁵¹ სახალხო დამცველის 2017 წლის მონაცემებით, რომელიც სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მონაცემებს ეყრდნობა, რეგისტრირებულ წამლადამოკიდებულთა რაოდენობა 60 000 აღწევს.¹⁵²

სამწუხაროდ, ვერ მოვიპოვეთ ზუსტი მონაცემები ნარკოდამოკიდებულთა რაოდენობის, მკურნალობაში ჩართული საჭირო პროფესიონალი პერსონალისა და ბიუჯეტის შესახებ, რაც

¹⁵⁰ ჯავახიშვილი, ჯ., ნარკოტიკების ავადმომხმარების პრევენცია. ცხოვრების ჯანსაღი სტილის დამკვიდრების მიდგომა. თბილისი 2011. გვ. 113; შეად. ასევე: ინაბა, დ.ს./კოენი, უ.ე., ცადამყვანები, გამაბრუებლები და სხვები. ფსიქოაქტიური საშუალებების ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტები. მერვე გამოცემა. თბილისი 2017. გვ. 255, 256.

¹⁵¹ <http://liberali.ge/articles/view/3890/metadonit-shezghuduli-tavisufleba> [20.01.2019].

¹⁵² საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში. გვ. 220.

შეუძლებელს ხდის ზიანის შემცირების შესახებ მსჯელობას. იმისათვის, რომ ნათელი გახდეს როგორი გამოწვევის წინაშე შეიძლება დადგეს სახელმწიფო და საზოგადოება ნარკომომხმარებლებთან დაკავშირებით, გვინდა შედარებითი ანალიზი წარმოვადგინოთ ოჯახში ძალადობის პრევენციასთან მიმართებაში. კერძოდ, 2019 წლის 8 თებერვალს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა დასკვნა „ოჯახში ძალადობისაგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმების“ თაობაზე. აღმოჩნდა, რომ იმის მიუხედავად, რომ ბოლო ათი წელია სისტემატურად მიდის საუბარი ოჯახში ძალადობის პრევენციაზე ქვეყანაში, 100 000 სულ მოსახლეზე 7 სოციალური მუშაკი მუშაობს, როდესაც ეს მაჩვენებელი ევროპის ქვეყნებში გაცილებით დიდია, მაგალითად სლოვენიაში 100 000 სულ მოსახლეზე 772 სოციალური მუშაკი მუშაობს. ამავე დასკვნით ირკვევა, რომ საქართველოში ერთ სოციალურ მუშაკს თვეში 120 ახალი საქმე აქვს, რაც 6-ჯერ აღემატება რეკომენდებულ საქმეთა რაოდენობას და ართულებს სოციალური მუშაკის მიერ კანონით გათვალისწინებული ფუნქციების სრულფასოვნად შესრულებას. სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებული პრაქტიკაა სოციალური მუშაკის დატვირთვა თვეში 11-დან 15 საქმით. ამავე დასკვნის თანახმად, „2016-2017 წლების და 2018-2020 წლების ოჯახში ძალადობის სამოქმედო გეგმა მთავრობის მიერ აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ბიუჯეტის განსაზღვრის გარეშე დამტკიცდა, რაც გამოწვეულია უწყებების მიერ სავარაუდო ხარჯების დათვლის გამოცდილების არქონით“.¹⁵³ დღეს მარიხუანას მომხმარებელთა რაოდენობა თუ არის 300-350 000 და მათგან მინიმუმ 10% გახდა მძიმე ნარკოტიკზე დამოკიდებული (პროკურატურის კვლევის თანახმად, მძიმე ნარკოტიკების მომხმარებელთა 56,6 პროცენტმა პირველად მარიხუანა მოიხმარა). გამოვა, რომ 5-7 წლის შემდეგ ნარკოდამოკიდებულთა რაოდენობა ქვეყანაში სულ მცირე 80-100 ათასი ადამიანი შეიძლება იყოს. აუცილებელია დღესვე ვიცოდეთ, თუ რა სახის სოციალურ, სამკურნალო სერვისი შეიძლება დასჭირდეს მათ 5-7

¹⁵³ იხ. 2019 წლის 8 თებერვლის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა „ოჯახში ძალადობისაგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმების“ თაობაზე. <https://sao.ge/audit/audit-reports> [25.02.2019].

წლის შემდეგ, რათა მათი მდგომარეობა გაუსაძლისი არ გახდეს და არ მოხდეს მათი უფლებების დარღვევა (მაგ. სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის). ოჯახში ძალადობის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის მოყვანა ემსახურება შედარებით ანალიზს, რათა გააზრებული გვექონდეს, რომ პროფესიონალი ადამიანური რესურსის (ნარკოლოგი, სოციალური მუშაკი, ფინანსური საკითხების დაგეგმარების მცოდნე, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი) არსებობის და რაციონალური ფინანსური დაგეგმვის გარეშე, შეუძლებელია კონკრეტული პრობლემების მყისიერი, საშუალო თუ გრძელვადიანი მოგვარება.

მარიხუანას ხანგრძლივი მოხმარების შემთხვევაში, შეუძლებელი ხდება მომხმარებლის მიერ მისთვის თავის დანებება და აუცილებელია მომხმარებლის ფსიქიატრიული მკურნალობა.¹⁵⁴ საინტერესოა, რა როდენობის ნარკოლოგი, ფსიქიატრი ან სოციალური მუშაკი ჰყავს სახელმწიფოს და არსებული რესურსი რამდენად უზრუნველყოფს ნარკომომხმარებლის (მარიხუანას მომხმარებლის) ღირსეულ მკურნალობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ზიანის შემცირების პროგრამების ეფექტი თითქმის მყისიერია: ვინაიდან იკლებს ზედოზირებით გარდაცვლილ პირთა რაოდენობა, წამალდამოკიდებულ პირთა კრიმინალური აქტივობა, ინფექციური დაავადებების სტატისტიკა და ა.შ.; მკურნალობა-რეაბილიტაციას 3-5-წლიანი პერსპექტივა ესაჭიროება, რათა წამალდამოკიდებული ადამიანების ჯანმრთელობის თვალსაზრისით სიტუაცია გაუმჯობესდეს.¹⁵⁵

ზიანის შემცირების თაობაზე, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ თუ დღეს არსებული მარიხუანას მომხმარებელთა (მინიმუმ 300 000) მინიმუმ ერთი მესამედი გახდება სხვა მძიმე ნარკოტიკულ საშუალებაზე (ჰეროინი, კოკაინი) დამოკიდებული, ქვეყანას ძალიან დიდი ფინანსური

¹⁵⁴ Sagel-Grande, I., Drogen, Alkohol und Verbrechen. In: Schneider, H. J. (Hrsg.), Internationales Handbuch der Kriminologie. Band II. Berlin 2009. S. 523.

¹⁵⁵ ჯავახიშვილი, ჯ., ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრევენცია. ცხოვრების ჯანსაღი სტილის დამკვიდრების მიდგომა. თბილისი 2011. გვ. 114.

და ადამიანური რესურსის მობილიზება დასჭირდება მათთვის ღირსეული სამკურნალო ან/და სარეაბილიტაციო პროგრამების შეთავაზებისთვის. „კვლევების მიხედვით, საქართველოს სკოლის მოსწავლეების მიერ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დონე ორჯერ მაღალია ევროპელ თანატოლებთან შედარებით“.¹⁵⁶ ამ მოზარდების მიერ მომავალში მძიმე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება სერიოზული გამოწვევის წინაშე დააყენებს ქართულ სახელმწიფოსა და საზოგადოებას.

5. ახალი ნარკოპოლიტიკის შედეგები

საინტერესოა, გავიგოთ თუ რა შეიძლება გამოეწვიოს მარიხუანასადმი ახალ მიდგომებს, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებებით ჩაუყარა საფუძველი. ამ ე.წ. ახალი ნარკოპოლიტიკის პერიოდად მოიაზრება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილებიდან დღემდე არსებული ვითარება, სისხლის სამართლის პოლიტიკისა და კრიმინოგენული სიტუაციის კუთხით.

5.1. მართლმსაჯულების განხორციელების პრობლემა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილებას მოუმზადებელი შეხვდა როგორც საქართველოს პარლამენტი, ასევე, საერთო სასამართლოების სისტემა, რაც გამოიხატა შემდეგი ხასიათის პრობლემაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილებამ თავისუფლების აღკვეთა გააუქმა 70 გრამამდე მარიხუანას შემენა-შენახვისთვის. სსკ-ის 260-ე მუხლი კი არ ითვალისწინებდა სასჯელის სხვა სახეს. შესაბამისად, პირს, რომელიც მსჯავრდებული იყო მარიხუანას შემენა-შენახვისთვის უბრალოდ უუქმდებოდათ დანიშნული სასჯელი.¹⁵⁷

¹⁵⁶ საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში. გვ. 222.

¹⁵⁷ გვენეტაძე, ნ., საქართველოს სასამართლო სისტემის როლი ნარკოპოლიტიკის რეფორმაში. საქართველოს ნარკოსტრატეგიის შედარებითი ანალიზი და

ეს მდგომარეობა გაგრძელდა თითქმის ორი წელი, 2017 წლის ივლისამდე.

სსკ 260-ე მუხლის მეორე ნაწილით მსჯავრდებული პირებისთვის სასჯელის გამოუყენებლობის საკითხი სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების სერიოზული პრობლემაა, რაც საზოგადოებას მოქმედი ნორმებისა და სამართლისადმი არა მხოლოდ უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს და ნდობას უკარგავს, არამედ უქმნის ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, მისთვის სისხლის სამართლის ნორმის მოქმედებისა და დამორჩილების სურვილი იკარგება, ქრება.

მოქალაქეს, რომელიც გაიგებს, რომ პირი დაკავებული იყო დანაშაულის ჩადენაში, გაიმართა სასამართლო პროცესი, მაგრამ პირს სასჯელი ვერ შეეფარდა, იმიტომ რომ ის კონკრეტული მუხლი სასჯელს არ ითვალისწინებდა, დაეკარგება რწმენა არა მხოლოდ მოქმედი სამართლისადმი, არამედ სახელმწიფოსა და სასამართლო ინსტიტუტებისადმი.

აღნიშნულმა საკითხმა პირდაპირ იმოქმედა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპზე სამართლებრივი უსაფრთხოების კუთხით.

„ზოგადი თვალსაზრისით, სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი აგრეთვე მოითხოვს კანონშემოქმედებითი პროცესის თანმიმდევრულობას და კანონმდებლობის სტაბილურობას – სამართლებრივმა უსაფრთხოებამ უნდა დაიცვას ადამიანის ნდობა როგორც სამართლებრივი ნორმების, ისე, ზოგადად, სამართლებრივი წესრიგის მიმართ“.¹⁵⁸

სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის თითქმის ორი წლის განმავლობაში გამოუყენებლობამ და სსკ დამრღვევი პირების დაუსჯელობამ, შეარყია სამართლებრივი უსაფრთხოების საკითხი ქვეყანაში - მოქალაქეების სამართლებრივი ნორმებისადმი და ზოგადი წესრიგისადმი ნდობა.

ნარკოდანაშაულის სფეროში საკანონმდებლო სრულყოფის საკითხები. სტატიათა კრებული. (რედ.) თოდუა, ნ./ჯანაშია, ჯ., თბილისი 2019. გვ. 39.

¹⁵⁸ კობახიძე, ი., სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი. სამართლის ჟურნალი. თსუ. იურიდიული ფაკულტეტი. №1, 2013. გვ. 320.

5.2. კრიმინოგენული მდგომარეობის გაუარესება

საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილებას შეიძლება გამოეწვია უკონტროლობისა და უნორმოზის გრძნობის ჩამოყალიბება და დანაშაულის ზრდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებამდე ქვეყანაში მოქმედებდა ნულოვანი ტოლერანტობის კრიმინალური პოლიტიკა, მათ შორის ნარკოპოლიტიკა. მოქალაქეები შეჩვეულნი იყვნენ ისეთ მდგომარეობას, როდესაც მარიხუანას მოხმარება, შეძენა, ფლობა მკაცრად ისჯებოდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება მარიხუანას პოტენციური და აქტიური მომხმარებლებისთვის იყო დადებითი ხასიათის შოკი, რამაც გამოიწვია როგორც აქტიური მომხმარებლების გააქტიურება, ასევე პოტენციური და ცნობისმოყვარე ადამიანებისთვის მოხმარების სურვილის გაჩენა. ერთი უკიდურესი მდგომარეობიდან (ნულოვანი ტოლერანტობა) მეორე უკიდურეს მდგომარეობაში ერთ დღეში აღმოჩენამ მოსახლეობის ერთ ნაწილში მარიხუანას ხშირი მოხმარებას დაუდო საფუძველი, ხოლო, მეორე ნაწილში კრიმინალური პოლიტიკის ასეთმა სწრაფმა ცვლილებამ სამართლის მოქმედი ნორმებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია. ხშირად შეხვდებით ახალგაზრდების ჯგუფებს, რომლებიც საჯარო დაწესებულებებში (სკოლა, უნივერსიტეტი), თუ საჯარო თავშეყრის ადგილებში (პარკები, სკვერები, ეზოები) ღიად, პედაგოგების, ბავშვების თვალწინ მოიხმარენ მარიხუანას, რაც მოსახლეობის ერთ ნაწილში ტოვებს უკონტროლობისა და ქვეყანაში უნორმოზის განცდას. უკონტროლობისა და უნორმოზის განცდა, თავის მხრივ, ნაკლები შინაგანი მორალის ადამიანებში წარმოქმნის დანაშაულის ჩადენის მიმართ დადებით განწყობას.

საზოგადოების წევრები, კულტურული მიზნის მიღწევის საშუალებად, დანაშაულის ჩადენას მიმართავენ, რაც ბოლო წლების შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებითაც დასტურდება. 2014 – 2016 წლებში, დაახლოებით, თითქმის ერთნაირი რაოდენობის დანაშაულია

რეგისტრირებული (2014 წელს - 36 526, 2015 - 35 096, 2016 - 35 997). 2017 წელს ეს მონაცემი მცირედით არის გაზრდილი და რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობამ შეადგინა - 37 944. ბოლო წლებთან შედარებით 2018 წელს 58 412 დანაშაული იქნა რეგისტრირებული, ანუ, 20 ათასი დანაშაულით მეტი, ვიდრე წინა 4 წლის განმავლობაში. რეგისტრირებული დანაშაულების ზრდა ასევე აღინიშნება 2019 წლის პირველი რვა თვის მონაცემებითაც. 2019 წლის პირველ რვა თვეში უკვე რეგისტრირებულ იქნა 44 216 დანაშაული.¹⁵⁹ 20 ათასით მეტი დანაშაულის 2018 წელს რეგისტრირებას შსს ხსნის დანაშაულის აღრიცხვის მეთოდოლოგიის ცვლილებით. შესაძლებელია, რომ მართლაც ჰქონდა ადგილი დანაშაულის რეგისტრირების მეთოდოლოგიის ცვლილებას, მაგრამ ასეთი ცვლილებით შეიძლებოდა დანაშაულის მაგ. 10, ან თუნდაც 20% მატება ყოფილიყო გამოწვეული, მოცემულ შემთხვევაში კი, 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, 53,94% არის მატება რეგისტრირებული დანაშაულის, ხოლო 2019 წლის პირველ რვა თვეში 15% - იანი მატებაა 2018 წლის იმავე პირველ 8 თვესთან შედარებით. დანაშაულის ასეთი მკვეთრი მატება, ბოლო 2018 და 2019 წლებში, მათ შორის, შეიძლება გამოწვეული იყოს ქვეყანაში მოქმედი სამართლის ნორმებისადმი უპატივცემულო განწყობით, რაც, ვფიქრობთ, სავარაუდოდ, მარიხუანას მიმართ განსაკუთრებული ლიბერალური მიდგომის შედეგია. სიტუაციის აღქმიდან გამოწვეული მოქალაქის ქმედებაზე ზეგავლენასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო ექსპერიმენტები ჩატარდა. ერთ-ერთი ექსპერიმენტის ორგანიზატორებმა საფოსტო ყუთი დადგეს ორ განსხვავებულ ადგილას. ერთ ადგილას ადგილმდებარეობა იყო მოუწესრიგებელი, დაბინძურებული ნაგვისა და კედლის მხატვრობისგან, მეორე ადგილას გარემო იყო მოწესრიგებული და დასუფთავებული. ფოსტის ყუთში მოთავსებული იყო კონვერტი, რომელშიც გამვლელისგან შესამჩნევად იდო 5 ევროს ქაღალდის კუპიურა. საფოსტო ყუთთან ახლო გამვლელები აფიქსირებდნენ კონვერტს 5 ევროიანი კუპიურით. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ მოუწესრიგებელი გარემოს პირობებში საფოსტო ყუთიდან კონვერტის მითვისების მაჩვენებელი ორჯერ უფრო

¹⁵⁹ იხ.: www.police.ge [10.10.2019].

მაღალი იყო (27%), ვიდრე დასუფთავებული ადგილის პირობებში მდგარი საფოსტო ყუთიდან კონვერტის გამოღება, სადაც 5 ევროიანი კუპიურა იდო (13%).¹⁶⁰ ამ ექსპერიმენტის ავტორებმა მთლიანობაში 6 მსგავსი სახის ექსპერიმენტი ჩაატარეს და დაასკვნეს, რომ, როდესაც ადამიანი აკვირდება, რომ ნორმის დარღვევა ჩვეულებრივი მოვლენა და მისაღებია, იზრდება ალბათობა რომ ეს პირიც დაარღვევს ნორმას. ამავე დროს, მნიშვნელობა არ აქვს რომელ ნორმას დაარღვევს ის, მისთვის არა კონკრეტული ნორმის დარღვევაა მნიშვნელოვანი, არამედ ზოგადად ნორმის დარღვევა.¹⁶¹ ნორმის დარღვევისას მნიშვნელოვანია იმის ცოდნა/რწმენა, თუ რას აკეთებენ სხვა ადამიანები. თუ ისინი ფიქრობენ, რომ სხვა ადამიანები ნორმას არღვევენ, მაშინ იზრდება ალბათობა ამ კონკრეტული ადამიანის მხრიდანაც ნორმის დარღვევის.¹⁶²

მოქალაქე, რომლისთვისაც სულ რაღაც 3-4 წლის წინ მარიხუანას მოხმარება სისხლის სამართლის წესით ისჯებოდა და ახლა აკვირდება, რომ საჯარო ადგილებში ხდება უკვე მარიხუანას მოხმარება, თავადაც ექმნება სურვილი სამართლის ნორმა დაარღვიოს, ნორმის დარღვევის სურვილი, თუ პირველივე დარღვევისთანავე არ იქნა შესაბამისი რეაგირება განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მიერ, ეპიდემიასავით ვრცელდება ადამიანებში. ნორმის დარღვევის ეპიდემიის გავრცელების დროს ირღვევა როგორც მორალისა და ზნეობის ნორმები, ასევე სისხლის სამართლებრივი ნორმები.¹⁶³

6. დასკვნა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემების მიხედვით, საქართველოში ყოველი მეხუთე ადამიანი 15-დან 29 წლამდე კატეგორიაში ხვდება. ქვეყანაში მოსახლეობის რიცხვის შემცირებამ იმოქმედა ახალგაზრდების წილის შემცირებაზეც. თუ 10 წლის წინ 15-29 წლის ახალგაზრდები საზოგადოების 24%-ს წარმოადგენდნენ, ახლა

¹⁶⁰ Spitzer, M., Unordnung ist nicht in Ordnung. Graffiti und die Verletzung sozialer Normen. *Nervenheilkunde* 2009, 28. S. 70.

¹⁶¹ იქვე.

¹⁶² იგივე, გვ. 71.

¹⁶³ იგივე, გვ. 70.

მათი წილი დაახლოებით 4%-ით არის შემცირებული.¹⁶⁴ იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში შემცირებულია ახალგაზრდობის რაოდენობა, როდესაც უპერსპექტივობის გამო (უმუშევრობა, უნარ-ჩვევების არქონა) მათი გარკვეული ნაწილი ემიგრაციაზე ფიქრობს, როდესაც სიღარიბის დაძლევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად სახელდება, როდესაც მავნე ნივთიერებებისადმი (ალკოჰოლი, თამბაქო) დამოკიდებულება და მათი მოხმარება გაზრდილია, გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო ქვეყანაში ხდება ნარკოტიკების ტრანზიტი და ამავდროულად, ორგანიზებული დანაშაულისადმი („ქურდული სამყაროსადმი“) განსაკუთრებული დამოკიდებულება გაგვაჩნია - საკონსტიტუციო სასამართლოს უდიდესი სიფრთხილით უნდა განეხილა, თავისუფალი განვითარების ჭრილში, მარიხუანას მოხმარების საკითხი.

სისხლის სამართლის ფუნქციას წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვა.¹⁶⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ ხელი უნდა შეუწყოს სისხლის სამართალს ამ ფუნქციის განხორციელებაში. საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად მიუთითებს სახელმწიფოს მიერ სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრის თაობაზე და აცხადებს, რომ „ბუნებრივია, სახელმწიფოს აქვს ფართო მიხედულების ზღვარი სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრის დროს. სამართლებრივი სახელმწიფო ემსახურება რა თავისუფალი და დაცული ადამიანის უზრუნველყოფას, ამ მიზნის მისაღწევად ის აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი და საკმარისი, ეფექტური ბერკეტებით. ამ თვალსაზრისით, მძლავრ და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს სახელმწიფოს ხელში წარმოადგენს დანაშაულთან ბრძოლა და ამ გზით, საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო უსაფრთხოების, სხვა ლეგიტიმური კონსტიტუციური მიზნების დაცვა და შედეგად, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დარღვევის თავიდან აცილება, პრევენცია“.¹⁶⁶ საკონსტიტუციო სასამართლომ, ასევე იცის, რომ სისხლის სამართლის

¹⁶⁴ ფრიდრიხ ებერტის ფონდი. თაობა გარდამავალ პერიოდში. ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო. თბილისი 2017. გვ. 12. იხ.: <http://www.fes-caucasus.org>. [10.03.2019].

¹⁶⁵ გამყრელიძე, ო., სისხლის სამართლის პრობლემები. I ტომი. თბილისი 2011. გვ. 117.

¹⁶⁶ წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 32.

პოლიტიკის განსაზღვრის დროს „... პირველ რიგში, მხედველობაშია მისაღები დანაშაულის ბუნება და სამართლებრივი ინტერესი, რომელსაც ზიანს აყენებს კონკრეტული ქმედება. ამასთან, აღნიშნული საკითხები უნდა განისაზღვროს ქვეყნის ისტორიული გამოცდილების, კულტურის, ღირებულებების და ზოგადად საზოგადოების სამართლებრივი სენტიმენტების გათვალისწინებით“.¹⁶⁷ ამის მიუხედავად, ის მაინც აუქმებს 69 გრ. მარიხუანას ფლობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახით თავისუფლების აღკვეთას და ცოტა მოგვიანებით, მარიხუანას მოხმარებას თავისუფალი განვითარების ჭრილში განიხილავს. ვფიქრობთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არ ჰქონდა პირდაპირ ჩარეულიყო ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების კომპეტენციაში - განსაზღვროს სისხლის სამართლის პოლიტიკა და დანაშაულთან ბრძოლა. ხელისუფლების დანაწილება დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური პრინციპია, რომლის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირება.¹⁶⁸

საკონსტიტუციო სასამართლოს შეეძლო ეთქვა, რომ 69 გრ. გამომშრალი მარიხუანას ფლობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 7-14 წლამდე თავისუფლების აღკვეთის სახით ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-17 მუხლს, მაგრამ მას არ ჰქონდა უფლება ჩარეულიყო სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრაში და მთლიანად გაეუქმებინა 69 გრამამდე გამომშრალი მარიხუანას ფლობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამ გადაწყვეტილების მიღების დროს სასამართლო, ასევე, არ იზიარებს ქართველი ექსპერტების მოსაზრებას მარიხუანას მავნე ზეგავლენის თაობაზე, რაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დატოვების არგუმენტი იყო.

მაშინ, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ-კულტურული ასპექტების გათვალისწინების გარეშე იქნება მიღებული, საფრთხე შეექმნება სისხლის სამართლის ფუნქციის

¹⁶⁷ იგივე, II, 33.

¹⁶⁸ ზოიძე, ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში. თბილისი 2007. გვ. 148.

(საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვა) განხორციელებას, ვინაიდან, ამას გარკვეული პირობები სჭირდება მაგ. მარიხუანას უკანონო გასაღებისა და ნარკობაზარზე ორიენტირებული ორგანიზებული დანაშაულის კონტროლი, მარიხუანას მავნე ზეგავლენების შესახებ მოსახლეობის (განსაკუთრებით მოზარდი თაობის) ინფორმირება და ა.შ. მარიხუანას მომხმარებელთა რაოდენობა პირდაპირ კავშირშია მარიხუანას უკანონო გასაღების ბაზრის წარმოქმნასთან. ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბაზარი რეგულირდება ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფების მიერ. ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფების არსებობა ქვეყანაში სერიოზული დარტყმა იქნება ქვეყნის მართლწესრიგის დაცვაში.

ნარკომომხმარებელთა დიდი რაოდენობა წარმოქმნის მასშტაბური ხასიათის უკანონო ნარკოგასაღების ბაზარს, რომლის კონტროლი სახელმწიფო სტრუქტურებისთვის ძალიან ძნელია. აღნიშნულმა შეიძლება უკანონო ნარკოგასაღების ბაზარზე გამოიწვიოს ტეტრაჰიდროკანაბინოლის დიდი პროცენტულობის შემცველი ან ყალბი მარიხუანას გავრცელება, რამაც შეიძლება მომხმარებელთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეუქმნას საფრთხე. საქართველოში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მარიხუანას მომხმარებელს მარიხუანას სახელით მიყიდეს „ბიო-ნარკოტიკი“, რამაც მომხმარებლის სიკვდილი გამოიწვია.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო აქტიურად იყენებს ქვეყანაში მარიხუანას მოხმარების თაობაზე არსებულ კვლევებს და სტატისტიკურ მონაცემებს, რაც, ვფიქრობთ, ასევე უნდა გამოეყენებინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

ნარკომომხმარებელთა რაოდენობის ზრდა პირდაპირ კავშირშია სხვადასხვა უფლებების დაცვის პრობლემასთან. რა თქმა უნდა, სასამართლო ვერ დაელოდება, თუ როდის შეძლებს სახელმწიფო ყველა იმ ღონისძიების გატარებას, რის შემდეგაც მას შეეძლება მარიხუანას მომხმარებელს მოხმარების უფლება მისცეს, თუმცა, სასამართლო ვალდებულია, გამოვიდეს სახელმწიფოს მდგომარეობის რეალობიდან, გაითვალისწინოს მისი სოციალურ-ეკონომიკურ-კულტურული მდგომარეობა, მოქმედოს ოქროს შუალედი, რათა მის მიერ დადგენილი

უფლების შემსრულებელს საფრთხე არ შეუქმნას, თავად ამ უფლების განხორციელების დროს, ან არ გამოიწვიოს ისეთი სახის ზიანი, რაც გამოუსწორებელი შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც ახლა, ასევე მომავალში.

გამოყენებული ლიტერატურა

ბიორგო, ტ.

დანაშაულის პრევენცია. ყოვლისმომცველი მიდგომა. თბილისი 2019.

გამყრელიძე, ო.

სისხლის სამართლის პრობლემები. I ტომი. თბილისი 2011.

გეგენავა, დ.

კონსტიტუციური შეთანხმება, როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში. თბილისი 2016.

გერიგი, რ./ზიმზარდო, ფ.

ფსიქოლოგია და ცხოვრება. თბილისი 2009.

გომიაშვილი, ი.

ნარკომანია. სოციალური და კრიმინოლოგიური პრობლემები. თბილისი 2009.

ემბერი, ქ.რ./ემბერი, მ./პერეგრინი, კ.

ანთროპოლოგია. თბილისი 2009.

ზოიძე, ბ.

საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში. თბილისი 2007.

თოდუა, ნ.

ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში. საქართველოს ნარკოსტრატეგიის შედარებითი ანალიზი და ნარკოდანაშაულის სფეროში საკანონმდებლო სრულყოფის საკითხები. სტატიათა კრებული. (რედ.) თოდუა, ნ./ჯანაშია, ჯ., თბილისი 2019.

თურიაზინი, ქ.

სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის. თბილისი 2007.

ინაზა, დ.ს./კოენი, უ.ე.

ფსიქოაქტიური საშუალებების ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტები. მერვე გამოცემა. თბილისი 2017.

კალჭუნი, ქ./ლაითი, დ./კელერი, ს.

სოციოლოგია. ნაწილი I. თავი I. თბილისი 2007.

კობახიძე, ი.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“. №1, 2013.

კრისტი, ნ.

დანაშაულის კონტროლი, როგორც ინდუსტრია. გულაგების მიმართ დასავლური მიდგომა. თბილისი 2017.

კრისტი, ნ.

ტკივილის საზღვრები. სასჯელის როლი სასჯელადსრულების პოლიტიკაში. თბილისი 2017.

მეცვაბიშვილი, ე.

თანამედროვე ეკონომიკური თეორიები (ლექციების კურსი). თბილისი 2016.

მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ.

ნარკოტიკების მოხმარების დასჯადობის საკითხისთვის. საქართველოს ნარკოსტრატეგიის შედარებითი ანალიზი და ნარკოდანაშაულის სფეროში საკანონმდებლო სრულყოფის საკითხები. სტატიათა კრებული. (რედ.) თოდუა, ნ./ჯანაშია, ჯ., თბილისი 2019.

სუმბაძე, ნ.

თაობები და ღირებულებები. თბილისი 2012.

სურმანიძე, ლ.

ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები. თბილისი 2001.

შალიკაშვილი, მ.

კრიმინოლოგია. მესამე გამოცემა. თბილისი 2017.

შალიკაშვილი, მ.

ახალი ნარკოპოლიტიკა: საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კრიმინოლოგიური შეფასება. საქართველოს ნარკოსტრატეგიის შედარებითი ანალიზი და ნარკოდანაშაულის სფეროში საკანონმდებლო სრულყოფის საკითხები. სტატიათა კრებული. (რედ.) თოდუა, ნ./ჯანაშია, ჯ., თბილისი 2019.

შვაბე, ი.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუცი სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი 2011.

ციპელიუსი, რ.

იურიდიული მეთოდების მოძღვრება. მეათე გამოცემა. თბილისი 2006.

ჯავახიშვილი, ჯ.

ნარკოტიკების ავადმომხარების პრევენცია. ცხოვრების ჯანსაღი სტილის დამკვიდრების მიდგომა. თბილისი 2011.

ჯანაშია, ჯ.

საქართველოში ნარკომანიის გავრცელების და ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის შედარებითი ანალიზი. საქართველოს ნარკოსტრატეგიის შედარებითი ანალიზი და ნარკოდანაშაულის სფეროში საკანონმდებლო სრულყოფის საკითხები. სტატიათა კრებული. (რედ.) თოდუა, ნ./ჯანაშია, ჯ., თბილისი 2019.

ხუბუა, გ.

სამართლის თეორია. თბილისი 2015.

Burduli, I.

Nekrorezeption in Transformationsgesellschaften. Am Beispiel des postsowjetischen georgischen Unternehmensrecht. In: Dogmatik im Dienst von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung: Festschrift für Hans Prütting. Köln 2018.

Hoch, E./Friemel, Ch. M./Schneider, M. (Hrsg.)

Cannabis: Potenzial und Risiko. Eine wissenschaftliche Bestandsaufnahme. Berlin 2019.

Junker, D.,

Weltwirtschaftskrise. New Deal, Zweiter Weltkrieg, 1929-1945. In: Adams, W. P. u.a. Frankfurt/M 1992.

Cohen, A. K./Short J.F.

Zur Erforschung delinquenter Subkulturen. In: Sack, F./König, R. (Hrsg.): Kriminalsoziologie, Frankfurt a. M. 1968.

Meier, J., Bögelein, N.

Illegale Drogenmärkte in Justizvollzugsanstalten – Erkenntnisse von Experten in Bezug auf Cannabis. In: Neubacher, F./Bögelein, N. (Hrsg.): Krise – Kriminalität – Kriminologie. Mönchengladbach 2016.

Neubacher, F.

Kriminologie. 3. Auflage. Baden-Baden 2017.

Orth, B.

Die Drogenaffinität Jugendlicher in der Bundesrepublik Deutschland 2015. Rauchen, Alkoholkonsum und Konsum illegaler Drogen: aktuelle Verbreitung und Trends. BZgA-Forschungsbericht. Köln 2016.

Sagel-Grande, I.

Drogen, Alkohol und Verbrechen. In: Schneider, H. J. (Hrsg.), Internationales Handbuch der Kriminologie. Band II. Berlin 2009. S. 523.

Sauber, O./Weilemann, S.

Drogen. Eigenschaften – Wirkungen – Intoxikationen. Hannover 2000.

Spitzer, M.

Unordnung ist nicht in Ordnung. Graffiti und die Verletzung sozialer Normen. Nervenheilkunde 2009, 28.

http://www.znl-ulm.de/Newsletter/Archiv/2009/n15_Verletzung_sozialer_Normen.pdf

Schubert, H-J.

The Chicago School of Sociology. Theorie, Empirie und Methode. In: Klingemann, C. (Hrsg.), Jahrbuch für Soziologiegeschichte Soziologisches Erbe: Georg Simmel – Max Weber – Soziologie und Religion – Chicagoer Schule der Soziologie. Wiesbaden 2007.

Schwind, H-D.

Kriminologie. 18. Auflage. Heidelberg 2008.

გადაწყვეტილებები:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილება გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება - BVerfG 1990, 145.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ, განაცხადი №45554/08, 2014 წელი.

ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

კვლევები და ანგარიშები:

ფრიდრიხ ებერტის ფონდის კვლევა: თაობა გარდამავალ პერიოდში. 2016 - საქართველო. თბილისი 2017. <http://www.fes-caucasus.org>.

საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში.

2019 წლის 8 თებერვლის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა „ოჯახში ძალადობისაგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმების“ თაობაზე. <https://sao.ge/audit/audit-reports>

ნარკოვითარება საქართველოში. 2015 წლის ანგარიში.

„ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი ტენდენციების კვლევა პრობაციონერებთან“. 2016 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ განხორციელებული ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი ტენდენციების კვლევა (გამოქვეყნდა 2017 წელს).

Europäische Beobachtungsstelle für Drogen und Drogensucht (2015), Schmuggelrouten für Opioide von Asien nach Europa. http://www.emcdda.europa.eu/system/files/publications/2747/Opioide%20trafficking%20routes_POD2015_DE.pdf

Europäische Beobachtungsstelle für Drogen und Drogensucht (2018), Europäischer Drogenbericht 2018: Trends und Entwicklungen, Amt für Veröffentlichungen der Europäischen Union, Luxemburg. http://www.emcdda.europa.eu/system/files/publications/8585/20181816_TDA_T18001DEN_PDF.pdf

ინტერნეტწყაროები:

<http://www.geostat.ge>

<http://www.ssa.gov.ge>

<http://www.unicef.ge>

<https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-saqartveloshi-3-kg-ze-meti-kokainis-da-nakhevar-kilomde-/1219>

<https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-nivtmtkitsebad-amoghebuli-1-tonaze-meti-narkotikuli-sashualebebi-gaanadgura/12247>

<https://www.nature.com/articles/1301127>

<https://www.interpressnews.ge>

<https://on.ge>

www.police.ge